ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 6 მარტი, 2020 №55 (8319) ფასი: 60 თეთრი

„ბოლო რამდენიმე თვე სულ ემუქრებოდა“



გვ.5

ხაშურში ქმარმა ცოლი გულის არეში დაჭრა

3 მარტიდან

ვასილ ბარნოვი

ტრფობა ნამებული

საქართველოს ისტორია ქართულ ლიტერატურაში

ტომი I



ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

„ოქრუაშვილი და უგულავა თუ ციხეში ისხდებიან, არჩევნები ლეგიტიმური ვერ იქნება“

გვ.3

გიგი უგულავა: „ჩემი პატიმრობა ჩემი არჩევანია. ჩემი გათავისუფლება პროპორციულ არჩევნებს არ დაუკავშიროთ“

გვ.2

გურამ ჩალაგაშვილი: „ჩვენი მაგიდა არის ერთსულოვანი და ვერავინ ვერავის ვერაფერს მოახვევს თავს“

„იმედი მქონდა, რომ სასწაული მოხდებოდა“

ირაკლი ოქრუაშვილის დაცვის წევრი კობა კოშაძე გამოუშვეს გვ.5

გვ.3

რამაზ საყვარელიძე: „ოცნებასა“ და ნაციონალებს 1%-იანი ბარიერი არ აწყობთ“

ხატია დეკანოიძე: „თუ „ოცნება“ კომპრომისზე არ წამოვა, აშშ სანქციებს დაუწესებს“

გვ.3

„ოქრუაშვილი, უგულავა და რურუა ივანიშვილის პირადი პატიმრები არიან“

სუსმა 30.000 ლარის ქრთამად აღების ფაქტზე 1 პირი დააკავა

გვ.5

გვ.2

მამუკა მდინარაძე: „40 მაჟორიტარზე ქვევით ვერ ჩამოვალთ“

ამირან სალუქვაძე: „ოპოზიცია პარლამენტში უნდა შევიდეს. ჩვენ მათ პერფორმანსებს არ ვაფინანსებთ“

გვ.4

ISSN 1987-9385

2 საქართველოში კორონავირუსის 9 შემთხვევა დაფიქსირდა

4 ქობულეთში 70 წლის მამაკაცი დაიწვა

5 ზურაბ აღეიშვილს ტელეკომპანია „იბერიის“ საქმეზე 1,6 წელი მიუსაჯეს

6 ჩხუბი თურქეთის პარლამენტში

გიგი უგულავა: „ჩემი პატიმრობა ჩემი არჩევანია. ჩემი გათავისუფლება პროპორციულ არჩევნებს არ დაუკავშიროთ“

– არ მსურს, ჩემი გათავისუფლების საკითხი გახდეს ბარიერი მაქსიმალურად პროპორციული სისტემის მიღების პროცესში, რაც ქვეყანას, მის მშვიდობიან განვითარებას ჰაერივით სჭირდება. ეს განცხადება გუშინ, 5 მარტს, პატიმრობაში მყოფმა გიგი უგულავამ გააკეთა.

გიგი უგულავას თქმით, ის ივანიშვილთან კატათაგვობანას თამაშს არ აპირებს.

„მერაბ კოსტავას ცნობილი სიტყვების პერიფრაზი რომ მოვახდინოთ – მთავარია, სად იქნება ეროვნული მოძრაობა და არა ის, სად ვიქნებით ჩვენ ეროვნულ მოძრაობაში.

დიახ, დღეს ჩვენს ბრძოლას ჰქვია ხალხი ივანიშვილის წინააღმდეგ და ამ ბრძოლას ხალხი აუცილებლად მოიგებს. არ ვაპირებ ივანიშვილთან კატათაგვობანას თამაშს. საერთოდ არაა მნიშვნელოვანი, როდის მოუნდება მას ჩემი მეოთხედ დაპატიმრება ან გამოშვება.

მან მძევლად ამიყვანა მე და სხვა პოლიტპატიმრები, იმის იმედით, რომ მისთვის სასარგებლო და ქვეყნისთვის საზიანო საარჩევნო სისტემის გამოვაჭრებით გაიხანგრძლივოს ძალაუფლება. ის ამ მიზანს ვერ მიაღწევს.

ამასთანავე, არ მსურს, ჩემი გათავისუფლების საკითხი გახდეს ბარიერი მაქსიმალურად პროპორციული სისტემის მიღების პროცესში, რაც ქვეყანას, მის მშვიდობიან განვითარებას ჰაერივით სჭირდება.

მინდა, მივმართო ჩემს თანაგუნდელებსა და მთლიანად ოპოზიციის ერთობას.

ჩემი პატიმრობა ჩემი შეგნებული არჩევანია და საერთო ბრძოლის ნაწილია, ისევე, როგორც მაქსიმალურად პროპორციული სისტემის მიღებაა ამ ბრძოლის მშვიდობიანი გადაწყვეტა. 2020-ში არჩევნების მაქსიმალურად პროპორციული სისტემით ჩატარება მხოლოდ გააიოლებს ქვეყნის ამოცანას – ივანიშვილის რეჟიმის დამარცხებას. ამასთანავე, ოპოზიციის დღევანდელი ერთობაა ამ ამოცანის აღსრულების მთავარი წინაპირობა. ეს ერთობაა, და არა რომელიმე სისტემა, რაც ყველაზე მეტად აშინებს ივანიშვილს.

მეგობრებო, არ იდარდოთ ჩემზე, შევინარჩუნოთ ერთობა და ყველაფერი გავაკეთოთ მაქსიმალურად პროპორციული სისტემის მისაღებად. სრული მხარდაჭერა თქვენ ამ ამოცანის მიღწევაში“, – დაწერა გიგი უგულავამ ფეისბუქის გვერდზე.

გუშინვე ფეისბუქში გამოაქვეყნა წერილი მეორე პატიმარმა გიორგი რურუამ.

მასში ნათქვამია:

„როგორც მოქალაქეს, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ქვეყნის მშვიდობიანი განვითარება, არ მსურს ჩემი, როგორც პოლიტპატიმრის, გათავისუფლების საკითხმა პროპორციულის მიახლოებული სისტემის შემოღებას შეუშალოს ხელი. სრულ მხარდაჭერას ვუცხადებ ჩემს მეგობრებსა და თანამებრძოლებს ოპოზიციური პარტიებიდან.

სასწორზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი რამ დევს, ვიდრე ჩემი უკანონო პატიმრობა.

მე თავს დამნაშავედ არ ვცნობ, ყველა ბრალდება ჩემ მიმართ არის აბსურდული, მტკიცედ მწამს ჩვენი სიმართლის!

საქართველოში დამარცხდება ერთპიროვნული, არაფორმალური მმართველობა!

პ.ს. თავისუფლება იყო და არის კანონით შეუზღუდავი, ძალაუფლებისგან თავდასაცავი ერთადერთი ციხესიმაგრე – ენდრიუ ჰამილტონი“.

* * *

„ერთიანი საქართველოს“ ლიდერ ნინო ბურჯანაძის შეფასებით, გიგი უგულავას განცხადებამ „ქართულ ოცნებას“ პოლიტიკური რეპრესიების თემაზე ვაჭრობის საშუალება მოუსპო.

როგორც ბურჯანაძემ ინტერპრესნიუსთან საუბრისას აღნიშნა, უგულავას მხრიდან ეს ღირსეული და დასაფასებელი ნაბიჯია.

– მე მაშინაც ვთქვი, როდესაც გიგი უგულავა დააკავეს, რომ ის ღირსეულად იქცეოდა დაკავების პერიოდშიც. მისი ეს განცხადება არის ღირსეული და გონივრული განცხადება და ნამდვილად საქმის და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე გაკეთებული განცხადება.

ეს ძალიან დასაფასებელია და მივესალმები ამ განცხადებას. მიმაჩნია, რომ ძალიან ვაჟკაცური ნაბიჯი გადადგა გიგი უგულავამ ამით და რეალურად, ერთხელ და საბოლოოდ „ქართულ ოცნებას“ მოუსპო პოლიტიკური რეპრესიების თემაზე ვაჭრობის საშუალება.

ეს ძალიან ღირსეული ნაბიჯია, რომელიც დაეხმარება პროპორციული არჩევნების მოპოვების საკითხს. თუ ამის შემდეგადაც „ქართულმა ოცნებამ“ არ გადმოდგა პოზიტიური ნაბიჯები, ის უბრალოდ იქნება ყველას თვალში კიდევ ერთი ნათელი დადასტურება იმისა, რომ „ქართულ ოცნებას“ არაფერი აინტერესებს გარდა იმისა, რომ ნებისმიერ ფასად შეინარჩუნოს ძალაუფლება, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მამუკა მდინარაძე: „40 მაჟორიტარზე ქვევით ვერ ჩამოვალთ“

– თუ ნაწილობრივი კონსენსუსი მაინც არ იქნა, პროექტის დაინიცირებას საერთოდ არ აქვს აზრი.

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ საარჩევნო სისტემის ახალ მოდელთან დაკავშირებით ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, თუ მმართველი გუნდის მიერ შეთავაზებულ მოდელს ოპოზიციის ნაწილი მაინც არ დაეთანხმა, საკონსტიტუციო კანონის პროექტის ინიცირებას აზრი არ აქვს.

– თუ პარტიების ნაწილი მაინც არ დაეთანხმა, ცვლილებების წარდგენას აზრი არ ექნება. თუ ნაწილობრივი კონსენსუსი მაინც იქნა, მაშინ

კი ბატონო. თუ იმაზეა საუბარი, რა დათმობაზე მივდივართ ჩვენ, შეიძლია გარანტია მოგცეთ, რომ სულ რაღაც 3-4 დღეში ყველა ის პირობა იქნება დაწერილი, რაზეც ჩვენ ზეპირად ვლაპარაკობთ.

გარანტიას გაძლევთ, რომ ამ პროექტში ჩადებულ დამზღვევ მექანიზმებთან დაკავშირებით ერთი სიტყვაც კი ვერ იქნება ობიექტურად კრიტიკულად მიმართული, – განაცხადა მდინარაძემ.

შესაძლოა თუ არა, კანონპროექტში ჩაიდოს 1%-იანი ბარიერი?

ჟურნალისტის ამ კითხვას მამუკა მდინარაძემ ასე უპასუხა:

– ბარიერთან მიმართებით ვაცხადებთ – რამდენიც მათ ნებავთ. შეთანხმდნენ და მოიტანონ საკუთარი ვერსია. ამასთან დაკავშირებით იმდენად არ გვაქვს პრობლემა, რომ ჩავუწერთ, რაზეც შეთანხმდებიან.

ასევე სულ ერთია, 110/40– ზე იქნება თუ 100/50 -ზე, მაგრამ აქ არის ერთადერთი მოტივი, რომ 40-ს ქვევით არ შეიძლება ჩამოსვლა, რადგან უკვე დამახინჯებული სისტემა შემოდის.

ასევე შეიძლია გარანტია მოგცეთ იმაზე, რომ მაჟორიტარების ნებისმიერი რაოდენობა მეორეხარისხოვანი ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ე.წ. დამზღვევი მექანიზმები იქნება კანონმდებლობაში ჩადებული, – განაცხადა მდინარაძემ.

რიყის დოქები ვერ გაიყიდა

რიყის დოქები ვერ გაიყიდა.

რიყის დოქების გასაყიდად გამოცხადებული ღია ელექტრონული აუქციონი, რომელიც 1 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, გუშინ, 5 მარტს, დასრულდა.

ელექტრონული აუქციონი ჩაიშალა, რადგან ყიდვის სურვილი არავინ გამოთქვა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ რიყის დოქების გაყიდვის მიზნით ელექტრონული აუქციონი 5 თებერვალს გამოაცხადა.

ობიექტის საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 95 მილიონი ლარი იყო.

საქართველოში კორონავირუსის 9 შემთხვევა დაფიქსირდა

44 წლის მამაკაცი იტალიიდან კვირას დაბრუნდა

გუშინ, 5 მარტს, კორონავირუსი საქართველოს მე-4 მოქალაქეს დაუდგინდა.

როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, 44 წლის მამაკაცი ქვეყანაში იტალიიდან კვირას ჩამოვიდა, ვირუსისთვის დამახასიათებელი სიმპტომები კი მოგვიანებით განუვითარდა.

– გუშინ, გვიან, ლუგარის ლაბორატორიაში დადასტურდა კორონავირუსის მეოთხე შემთხვევა. ისიც თავისი მოგზაურობის ისტორიით დაკავშირებულია იტალიასთან, არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც ქვეყანაში კვირას შემოვიდა, თითქოს სიმპტომების გარეშე. შემდგომ განუვითარდა მაღალი ტემპერატურა და მაღალი ტემპერატურის გამო, მან თავად მიმართა ინფექციურ საავადმყოფოს, გუშინ დილით მოხდა მისი ჰოსპიტალიზაცია, – განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

ინფექციური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორის, მარინა ეზუგბაიას ინფორმაციით, ამ პაციენტის მდგომარეობა შედარებით უფრო მძიმეა.

– განსხვავებით წინა სამი შემთხვევისგან, ამ პაციენტის მდგომარეობა უფრო მძიმეა, კლინიკურად უფრო მძიმე ფორმაა, რადგან დაავადება გამოუვლინდა ტემპერატურის მატებით – 38,5-ზე მეტია ტემპერატურა. დიაგნოსტირებულია, ლაბორატორიულად დადასტურებულია, დაწყებულია მკურნალობა.

გუშინდელი დღის შემდეგ მდგომარეობა ჯერ-ჯერობით კვლავ მძიმედ რჩება, მაგრამ სტაბილურია. დაავადება არ პროგრესირებს და, იმედი გვაქვს, რომ ასე გაგრძელდება. ტემპერატურა გუშინ მერყეობდა 38.5-სა 39.5 შორის, – განაცხადა ინფექციური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორმა.

მისივე ინფორმაციით, პაციენტი რამდენიმე დღე თვითიზოლაციაში იმყოფებოდა, ინფექციურ საავადმყოფოს კი 4 მარტს მიმართა.

გუშინ საღამოს მე-4 ინფიცირებულის შესახებ ისაუბრა ინფექციური საავადმყოფოს გენერალურმა დირექტორმა თენგიზ ცერცვაძემ.

– გვყავს 22 პაციენტი. ვეღოდებით, რომ მათგან 2 უნდა წაიყვანონ კარანტინში და დარჩება 20 პაციენტი. 20 პაციენტიდან ახალი კორონავირუსის ინფექცია 4-ს აქვს დადასტურებული.

ახალგაზრდა მამაკაცი, 44 წლის, რომელიც იტალიაში, ერთერთ კურორტზე იმყოფებოდა 1 კვირით, საქართველოში დაბრუნდა 1 მარტს, აეროპორტში მას ტემპერატურა არ ჰქონდა, სახლში მისვლის შემდეგ აუწია სიცხემ, იგრძნო თავი ცუდად, 2 დღე რჩებოდა სახლში, იღებდა სიცხის დამწევებს, როდესაც ტემპერატურამ არ გაუარა, თავის ფეხით მოვიდა ჩვენს კლინიკაში. გუშინვე ჩაუტარდა ყველა გამოკვლევა, მათ შორის აუღეს მასალა ახალი კორონავირუსის ინფექციის გამოსაკვლევად და დადგინდა დადებითი პასუხი.

მას აღენიშნება ტემპერატურის მატება პერიოდულად – 39 გრადუსი და ზევით. დღეს ამ პაციენტის მდგომარეობა სტაბილურია, შემდგომი დამძიმება არ დაფიქსირებულა, ტემპერატურა დღისით იყო 37.8 გრადუსი, აქვს ყელის ტკივილი და მნიშვნელოვანი საერთო სისუსტე. მდგომარეობა სტაბილურია, რაც ჩვენთვის არის კარგი, – განაცხადა ცერცვაძემ.

მისივე თქმით, პაციენტი იმყოფება ინტენსიური დაკვირვების ქვეშ.

– პაციენტი იმყოფება ძალიან ინტენსიური მეთვალყურეობის ქვეშ. იმედს ვიტოვებთ, რომ მისი მდგომარეობა არ დამძიმდება, თუმცა გამორიცხული არ არის. ამ დაავადებას ახასიათებს ასეთი თვისება, რომ იწყება შედარებით მსუბუქად და შემდეგ ერთი კვირის მანძილზე მძიმდება. რამდენადაც პაციენტს აღენიშნებოდა მაღალი სიცხე და ძლიერი საერთო სისუსტე, დამძიმება გამორიცხული არ არის, თუმცა ჯერ-ჯერობით სტაბილურია. ამ ეტაპზე, ჩვენი დაკვირვებით და გამოცდილებით, პაციენტს არ ემუქრება საფრთხე, – დასძინა თენგიზ ცერცვაძემ.

გუშინ, საღამოს, ცნობილი გახდა, რომ კორონავირუსის კიდევ 5 შემთხვევა დაფიქსირდა.

„დელტას“ გენერალურმა დირექტორმა უჩა ძოძუაშვილმა თანამდებობა დატოვა

სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ გენერალურმა დირექტორმა უჩა ძოძუაშვილმა თანამდებობა დატოვა.

ის კერძო სექტორში გადასვლას გეგმავს.

– მეგობრებო, გადავწყვიტე კერძო სექტორში გადასვლა, ვფიქრობ, რომ პროექტს, რომელიც მაქვს მომზადებული, ექნება მაღალი დაინტერესება საერთაშორისო ბაზარზე.

წინასწარი დაინტერესება უკვე გამოთქვეს პოტენციურმა ინვესტორებმა შესაბამისი პროტოტიპის დემონსტრირების შემთხვევაში და ვფიქრობ, რომ მას 6-7 თვეში წარვუდგენ დაინტერესებულ მხარეებს.

წლების განმავლობაში ამ სფეროში დაგროვილი ინტელექტუალური რესურსი, კავშირები და გამოცდილება განსაკუთრებით ინტეგრირებული სისტემების განვითარების მიმართულებით გახდა საწინდარი მრავალი საინვესტიციო შემოთავაზებისა, რომელსაც პირადად ვიღებდი.

ეს საშუალებას მაძლევს, გავაგრძელო მუშაობა ახალი ტიპის სამხედრო დანიშნულების პროდუქციის შექმნის მიმართულებით, თუმცა არა როგორც სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული კომპანიის მეშვეობით, არამედ კერძო სექტორში გადასვლის გზით, – დაწერა ძოძუაშვილმა ფეისბუქში.

სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ გენერალური დირექტორი უჩა ძოძუაშვილი თანამდებობიდან 2016 წლის 18 მაისს თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ერთი წლის შემდეგ კი აღნიშნულ თანამდებობაზე აღადგინეს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოქრუაშვილი და უგულავა თუ ციხეში ისხდებიან, არჩევნები ლეგიტიმური ვერ იქნება“

გურამ ჩალაგაშვილი: „ჩვენი მაგიდა არის ერთსულოვანი და ვერავინ ვერავის ვერაფერს მოახვევს თავს“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს „გამარჯვებული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი **გურამ ჩალაგაშვილი** პასუხობს.

– ბატონო გურამ, რა იგულისხმებოდა მდინარაძის განცხადებაში, როდესაც მან თქვა, ორ-სამ დღეში დავდებთ ცვლილებების ახალ პაკეტსო. როგორ ფიქრობთ, რას დათმობენ?

– ეს ვერ იქნება ის პროექტი, რომელიც მისაღებია ქართველი ხალხისთვის. ისინი შეეცდებიან, შემოგვთავაზონ ისეთი პროექტი, რომლითაც დაახლოებით 30-32%-ის აღების შემთხვევაში, მათი სატელიტი პარტიების დახმარებით, კვლავ მოიგონ არჩევნები და დარჩნენ ხელისუფლებაში.

– რა იქნება მათი მხრიდან დათმობის მინიმალური ზღვარი, 110/40-ზე?

– დიახ. ისინი ამბობენ, რომ 110/40-ზე არის მათთვის მისაღები. მდინარაძეს გეოგრაფიის ცოდნის კუთხით სერიოზული პრობლემები აქვს და ამას აქეთ გვაბრალებს ოპოზიციას, თურმე 40 ოლქად შეიძლება დაიყოს საქართველო და 20 ოლქად არ შეიძლება. აქ არ არის საუბარი მხოლოდ ოლქების დაყოფასა და რაოდენობაზე.

– აბა, რაზეა საუბარი?

– თუ ჩვენ გვინდა, რომ იყოს სტაბილური საარჩევნო გარემო, უნდა გათავისუფლდნენ პოლიტპატიმრები: ირაკლი ოქრუაშვილი, გიგი უგულავა, გიორგი რურუა, ბაჩო თამლიანი. ძალიან კარგია, რომ გაათავისუფლეს კოშაძე, მაგრამ დანარჩენებიც უნდა გამოუშვან.

– როგორ გგონიათ, პოლიტპატიმრებს გაათავისუფლებენ?

– რა თქმა უნდა, „ოცნებას“ არ აქვს სურვილი, უკან დაიხიოს ამ კუთხით და აღიაროს, რომ ქვეყანაში ჰყავს პოლიტპატიმრები, მაგრამ მას მოუწევს ამის დათმობა. შეუძლებელია, ერთერთი მძლავრი ოპოზიციური პარტიის თავმჯდომარე და პირველი პირი, ირაკლი ოქრუაშვილი, იჯდეს ციხეში და ასევე გიგი უგულავა, რომელიც არის მისი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ისიც ჰყავდეთ ციხეში გამოკეტილი და ამ არჩევნებს დაარქვან ლეგიტიმური არჩევნები.

– თუ არ იქნება შესრულებული ეს პირობა, არ სხდებით მოლაპარაკების მაგიდასთან?

– მოლაპარაკების მაგიდა არ განახლებულა. მოლაპარაკების მაგიდა ააყირავა ხელისუფლებამ, როდესაც დაიჭირა გიგი უგულავა, პირდაპირ მოლაპარაკების მაგიდიდან წაიყვანა. თავად ააყირავეს ეს მაგიდა და თავად ჩაშალეს მოლაპარაკებები. რაც შეეხება ამ შეხვედრებს, საუზმეზე იქნება თუ ვახშამზე, ეს არ არის მოლაპარაკებები, ეს არის მცდელობა იმისა ჩვენი პარტნიორების მხრიდან, რომ როგორმე ხელისუფლებამ საღ აზრთან მიახლოებული ნაბიჯები გადადგას და დაუბრუნდეს, ოპოზიციასთან ერთად, მოლაპარაკების მაგიდას.

– წინააღმდეგ შემთხვევაში?

– მოლაპარაკების მაგიდა არ შედგება და ერთობლივი გადაწყვეტილება ვერ იქნება მიღებული.

– სრულად პროპორციულზე რომ არ წამოვა ხელისუფლება, ეს ჯერ კიდევ მაშინ გახდა ცხადი, როდესაც დანაპირები უკან წაიღეს და ყველა მოატყუეს. ამის მოლოდინი კიდევ გაქვთ?

– რა თქმა უნდა, არ გვაქვს ამის მოლოდინი, მაგრამ არსებობს გამოსავალი, – ეს არის პროპორციულთან მიახლოებული არჩევნები, რომელიც არის არა 110/40-ზე, არამედ უფრო მეტი. მაგრამ ამ ხელისუფლების უბედურება, იცით, რა არის? ისინი ამბობენ, რომ 130/20-ზე ვერ იქნება, ანუ ისინი 130/20-სა და 110/40-ს გარდა, სხვა ციფრებს ვერ ხედავენ, სხვა ვარიანტს არც კი განიხილავენ და ლაპარაკობენ რაღაც გეოგრაფიაზე. არანაირი გეოგრაფიის პრობლემა აქ არ არის, ისე კარგად შეიძლება ოლქების დაყოფა, რომ არანაირი პრობლემა არ შეიქმნება.

საქართველო პატარა ქვეყანაა და ჩვენ გვაქვს დადასტურებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საარჩევნო კომისიაში დავალება უკვე მიცემული აქვთ და პრაქტიკულად უკვე ეს 40 ოლქი უკვე შავად არის გადანაწილებული ისე, როგორც ხელისუფლებას აწყობს.

მაგალითად, თბილისში, სადაც არის მილიონ-ნახევარი ამომრჩეველი, უნდა იყოს 5 ოლქი, ანუ 300 ათასმა ადამიანმა უნდა აირჩიოს 1 მაჟორიტარი. ლენტეხ-მესტიასაც, სადაც არის მაქსიმუმ 17 ათასი ამომრჩეველი, უნდა ჰყავდეს 1 მაჟორიტარი, ანუ ამ 40 ოლქსაც სათავისოდ ჭრიან და უკვე აქტიურად მუშაობენ ამაზე. აი, ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა და უბედურება. ეს არის ის მოდელი, რომელსაც, გამორიცხულია, დასთანხმდეს ოპოზიცია!

– ბატონო გურამ, ხელისუფლება აცხადებს, რომ ოპოზიციის ნაწილი მზად არის მოლაპარაკებისთვის, მაგრამ ოპოზიციის მცირე ნაწილს დატყვევებული ჰყავს ოპოზიციის უმრავლესობა. რამდენად ერთიანი პოზიცია გაქვთ გაერთიანებულ ოპოზიციაში?

– ის ოპოზიცია, რომელსაც ისინი ოპოზიციად ასაღებენ, არის სწორედ „ქართული ოცნებიდან“ წამოსული რამდენიმე დეპუტატი, რომლებიც 100/50-ის ვარიანტზეც თანახმა იყვნენ. თუ მათ მიიჩნევენ ოპოზიციად, არ ვიცი.

ჩვენი მაგიდა არის ერთსულოვანი და ვერავის ვერაფერს მოახვევს თავს. ჩვენ ვთქვით მკაფიოდ, რომ პოლიტპატიმრების გამოშვება არის ჩვენი, ყველას უპირობო მოთხოვნა.

– რამდენად უშვებთ იმ ვარიანტს, რომ ხელისუფლებამ განხეთქილება შეიტანოს ოპოზიციაში, შეძლოს ვინმეს მოსყიდვა, გადაბირება?

– გამორიცხულია, ამ კუთხით რამე დისონანსი შემოიტანოს ხელისუფლებამ. ჩვენ ყველანი მყარად ვართ ჩვენს პოზიციებზე. არა მგონია, რომელიმემ სხვა პოზიცია დააფიქსიროს ან პოლიტპატიმრების გამოშვების მოთხოვნაზე თქვას უარი.

ივანიშვილს თუ აქვს სურვილი, ამ ქვეყანაში დარჩეს, იცხოვროს, მის პარტიას ჰქონდეს პოლიტიკური მოღვაწეობის საშუალება, აჯობებს, მოუსმინოს კეთილის მსურველებს და გაითვალისწინოს ეს მოთხოვნები.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან ცუდად დაამთავრებენ.

ხატია დეკანოიძე: „თუ „ოცნება“ კომპრომისზე არ წამოვა, აშშ სანქციებს დაუწესებს“

„ოქრუაშვილი, უგულავა და რურუა ივანიშვილის პირადი პატიმრები არიან“

იაგო ნაცვლიშვილი

როგორც მოსალოდნელი იყო, „ქართული ოცნების“ მისამართით დასავლეთის კრიტიკა ძლიერდება. ის ჯერ ამერიკელმა კონგრესმენმა, საქართველო-ამერიკის ჯგუფის თანათავმჯდომარე ადამ კინზინგერმა გააფრთხილა და თქვა, რომ თუ კომპრომისზე არ წავლენ ოპოზიციასთან, მაშინ აშშ ბევრისთვის მოულოდნელ გადაწყვეტილებას მიიღებს, შემდეგ კი ევროპარლამენტარების ერთობლივი განცხადებაც გავრცელდა, რომელშიც საქართველოს ხელისუფლებაა გაკრიტიკებული.

ამ განცხადებებს მოჰყვა პოლიტიკური მოტივაციით დაჭერილი გიგი უგულავასა და გიორგი რურუას წერილები, რომლებიც ოპოზიციას მიმართავენ, რომ გაცნობიერებული აქვთ, ისინი ივანიშვილის პატიმრები არიან და ბოლომდე იბრძოლონ პროპორციულ არჩევნებთან მიახლოებული მოდელის მიღებისთვის.

რა შეიძლება მოიმოქმედოს აშშ-მ საქართველოსთან მიმართებით, რა გზავნილი იყო ევროპარლამენტის განცხადებაში და როგორ გაიგეს უგულავას მოსაზრებები? – ამ საკითხებზე „ახალ თაობას“ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **ხატია დეკანოიძე** ესაუბრება.

– ამერიკელმა კონგრესმენმა ადამ კინზინგერმა „ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ახსენა ფრაზა, რომ ბევრისთვის მოულოდნელი იქნება ის, რასაც აშშ გადაწყვეტს, თუ „ოცნება“ არ გაითვალისწინებს მათ მოთხოვნებს. რა იგულისხმა კინზინგერმა, სანქციები თუ კიდევ უფრო მეტი?

– ალბათ, სავარაუდოდ, სანქციები იქნება. ჩემი წარმოდგენა ასეთია და არა მხოლოდ ჩემი, იმიტომ, რომ დიპლომატიური არხები უკვე ძალიან მკაცრ განცხადებებს აკეთებენ და, ამასთანავე, ძალიან მკაცრი შეფასებებია ხელისუფლებასთან კომუნიკაციაში.

მსგავსი რამე ჩვენ გვინახავს მოლდოვაში, როდესაც ასეთივე გზავნილები მოდიოდა მოლდოვის სტრატეგიული პარტნიორებისგან. ამიტომ, ვფიქრობ, სანქციებია ის, რასაც დასავლეთი გამოიყენებს. ალბათ სანქციების ამოქმედების შემდეგ იქნება ფინანსური რესურსების შეზღუდვები და ასევე შეზღუდვები ფინანსურ გადაადგილებებთან დაკავშირებითაც. ვნახოთ, თუ არ გაითვალისწინებს „ქართული ოცნება“ პარტნიორების მოთხოვნებს, ეს ყველაფერი მალე გამოჩნდება.

– ასევე გაისმა გზავნილები ევროპიდანაც. „ქართული ოცნება“ უკვე კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა თუ უკვე ალარ სჯერათ „ქართული ოცნების“ ჩვენს პარტნიორებს?

გაგრძელება მე-4 გვერდზე

რამაზ საყვარელიძე: „ოცნებასა“ და ნაციონალებს 1%-იანი ბარიერი არ აწყობთ“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის შეთანხმება მიღწეული იქნება?

– ამ შემთხვევაში გაუგებარია, რა უნდა ოპოზიციას. თუ ბარიერი თითქმის არ იქნება, ანუ 1%-იანი იქნება, ასევე თუ 40%-იანი ჩამკეტი იქნება, რომ მთავრობა ვერ დააკომპლექტოს ერთმა ძალამ, ამ ყველაფერს ხომ თავად ითხოვდნენ?! მათი უარი ამ ცვლილებებზე გაუგებარია, დამაჯერებელი არ არის. შთაბეჭდილება იქმნება, რომ მათ არ უნდათ დათანხმება.

– რატომ არ უნდა უნდოდეთ?

– ჩიხი უნდათ შექმნან და მთელი აქცენტი ქუჩაზე გადაიტანონ, თუმცა საბაბად უნდათ გამოიყენონ მოლაპარაკებების ჩაშლა, თან ხალხსაც ვერ აგროვებენ.

– აქცია რაში აწყობთ, თუ ხალხსაც ვერ აგროვებენ?

– ნამდვილად პარადოქსულია, მაგრამ გაინა სხვა რა შეუძლიათ?! მით უმეტეს, საკაშვილის სცენარი ცნობილია. საკაშვილმა იცის, რომ მოსახლეობის მხარდაჭერას ვერ მოიპოვებს და ამიტომ ყველაზე მეტად რევოლუციური სცენარი აწყობს.

– ოპოზიციისთვის მიუღებელია 110-40-ზე, პროპორციულთან უფრო მიახლოებულს ითხოვენ.

– ამაზე არ წავა „ქართული ოცნება“, რადგან ის ფიქრობს, რომ ეს მისი მხრიდან კაპიტულაცია იქნება. ამიტომ არის კომპრომისული ვარიანტები მოლაპარაკებების დროს, რომ არც ერთმა არ უნდა იგრძნოს თავი იმთავითვე წაგებულად, აბა, ეს რა მოლაპარაკებაა?! მაშინ ეს კაპიტულაცია გამოდის.

– 1% ბარიერი არის შანსი, ბევრი ჭრელი პარტია შევიდეს პარლამენტში. ამ შემთხვევაში ეს პოლიტიკური ნაბიჯი რამდენად გაამართლებს?

– რა თქმა უნდა, 1% ბარიერი ბევრ პარტიას უქმნის შესაძლებლობას, პარლამენტში შევიდეს. ბუნებრივი ბარიერი უცხო არ არის ქართული პოლიტიკური რეალობისთვის. პოლიტიკური კრიზისის დროს ეს ხერხი კარგად მუშაობს. რა არის ნულოვანი ბარიერი? – ეს არის პოლიტიკური ნაბიჯი პროცესების ქუჩიდან შიგნით, პარლამენტში შესატანად.

90-იანებში ამ მეთოდმა კარგად იმუშავა, ასე შეიქმნა მაშინ ე.წ. იმელის პარლამენტი. ამ შემთხვევაში რამდენად იმუშავებს, რთული საკითხია, რადგან პროცესები როცა ქუჩიდან პარლამენტში შედის, იქ იხსნება არენა მრავალფეროვანი პოლიტიკისთვის, პატარა-პატარა პარტიებისთვის, მაგრამ ეს რამდენად აწყობთ მსხვილ პარტიებს?!

მე არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს აწყობდეს ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“. მსხვილი პარტიებისთვის ბუნებრივი ბარიერი ხელსაყრელი არ არის, ეს პატარა პარტიებისთვის არის.

– რატომ?

– იმიტომ, რომ მსხვილ პარტიებს ბარიერის პრობლემა ბუნებრივად არ უდგათ. მათ ჰყავთ იმდენი მხარდამჭერი, რომ ეს ამოცანა მათთვის არ დგას, შევლენ თუ არა პარლამენტში, მათთვის სხვა ამოცანა დგას – აიღებენ თუ არა ხელისუფლებას.

მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ პროცესი, რომელიც ჭიანურდება, მიბმული იყოს მსხვილ პარტიებთან. მაგალითად, ნაციონალურ მოძრაობასთან, რომლის პოზიციაც ასეთია: ან არაფერი, ან ყველაფერი!

არ გამოვრიცხავ, რომ ყველაფერი იქითკენ მიდიოდეს, რომ 2020 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები სწორედ მოქმედი საარჩევნო სისტემით ჩატარდეს და არც არაფერი შეიცვალოს.

„ქართულ ოცნებას“ არაფერი აქვს დასაკარგი, თუმცა ამ შემთხვევაში ერთი მნიშვნელოვანი საკითხი დგება დღის წესრიგში: დასავლეთი, რომელიც ყველაფერს აკეთებს შეთანხმების მისაღწევად, ამას ასე უბრალოდ არ დატოვებს. ამ შემთხვევაში იმ მხარეს, რომელიც იქნება ეჭვმიტანილი მოლაპარაკებების ჩაშლაზე, ეს ძვირად დაუჯდება.

დასავლეთი გულუბრყვილო შუამავლის როლში ყოფნას არ მოინდომებს. ამიტომ მოლაპარაკების მხარეებს ძირითადად თავი სამართლებელი სწორედ მათთან ექნებათ. რამდენად მოახერხებენ ამას, ეს გამოჩნდება.

ვინც იქნება მოლაპარაკების ჩამშლელი, მან უნდა იცოდეს, რომ ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება დასავლეთთან ურთიერთობაში.

2020, 6 მარტი, №55

ამირან სალუქვაძე: „ოპოზიცია პარლამენტში უნდა შევიდეს. ჩვენ მათ პერფორმანსებს არ ვაფინანსებთ“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში **ამირან სალუქვაძე** პასუხობს.

– ბატონო ამირან, პარლამენტში საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლას როგორ აფასებთ? მის ანგარიშს ესწრებოდნენ დიპლომატიური კორპუსი, საქართველოს მთავრობა, პარლამენტის წევრები, სამღვდელოების წარმომადგენლები, მაგრამ ოპოზიციის სკამები ცარიელი იყო. სალომე ზურაბიშვილის განცხადებებს მუდმივად კრიტიკა ახლავს. საინტერესოა, ამჯერად როგორ ფასდება.

– როდესაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუცია ანგარიშით წარდგება, დეპუტატების დასწრება აუცილებელია, მით უმეტეს, როდესაც მთელი დიპლომატიური კორპუსი და მთავრობაა წარმოდგენილი. ამ ყველაფერს უნდა სცენ პატივი. ასეთ დროს ბოიკოტი და მსგავსი პროტესტი, არა მგონია, ქვეყნისთვის ან ოპოზიციისთვის მომგებიანი იყოს.

თუ ბოიკოტს უცხადებენ, მაშინ რატომ აკეთებენ მისი ანგარიშის შეფასებებს? თუ ბოიკოტია, ბოიკოტი უნდა იყოს. ანგარიშის შემდეგ ტელევიზიების წინ კომენტარების გაკეთებას სჯობდა, პარლამენტის სხდომათა დარბაზში ყოფილიყვნენ, გამოეყენებინათ მათთვის მიცემული დრო, საქართველოს პრეზიდენტისთვის იქ დაესვათ კითხვები და იქვე შეეფასებინათ. ეს გაცილებით მომგებიანი იქნებოდა მათთვის და მთლიანობაში საზოგადოებისთვის.

– ანგარიშის შინაარსი მოგეწონათ?

– ანგარიშის შინაარსმა, პრინციპში, ყველა თემა მოიცვა. ყველა მიმართულებით ისაუბრა. ერთადერთი, მეტ კონკრეტიკას ვისურვებდი.

– პრეზიდენტი გააკრიტიკეს, ზოგადი იყოო.

– იმის მიუხედავად, რომ პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი თვითონ ზეპარტიულობას აცხადებს, ეს ხელს არ უშლის, გარკვეული კრიტიკული ან კონკრეტული მოსაზრებები გამოთქვას როგორც მმართველი, ასევე სხვა პოლიტიკური ძალების მიმართ და უფრო კონკრეტულად შეაფასოს პროცესები.

– ანუ პარტიების წარმომადგენლების შეფასებები ზოგადია.

– დიახ. თუ თავად ანგარიშის მიმართ შეიძლება გაკეთდეს შეფასება, რომ ის არის ზოგადი, საკმაოდ ზოგადი და ზედაპირულია ის შეფასებებიც, რომლებსაც პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ ტელეეთერებით პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები აკეთებენ.

უკვე საკმაოდ მომაბეზრებელი და შეუ-

რაცხმყოფელია რაღაც ეპითეტების გამოყენება, როცა მათსავე გამოსვლებში კონკრეტიკა არ არის.

– მაგალითად?

– აი, მაგალითად, ერთ-ერთი პოლიტიკოსი ამბობდა, რომ პრეზიდენტი არ იყო კონკრეტული დეოკუპაციის საკითხში. მე მაინტერესებს, რომელი პოლიტიკოსი გამოვა დღეს და დადებს კონკრეტულ სამოქმედო გეგმას. რომელიც საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციას უზრუნველყოფს.

თუ გამომსვლელს აკრიტიკებ, იტყვი, რომ ის ზედაპირული იყო და არ ჰქონდა კონკრეტული შეთავაზებები საზოგადოებისთვის, ვინც აკრიტიკებს, ისინიც არ უნდა იყვნენ ზედაპირული და კრიტიკაც უნდა იყოს კონკრეტული. ეს გვაკლია. ფაქტობრივად, საზოგადოებას პატივს არ სცემენ, ჰგონიათ, რომ ჩვენ ამ ყველაფრის დანახვისა და შეფასების უნარი არ გაგვაჩნია.

– ამბობთ, ოპოზიციის წარმომადგენლები პარლამენტში პრეზიდენტის ანგარიშის წარდგენას უნდა დასწრებოდნენ, მოესმინათ და კითხვებიც უნდა დაესვათო. ოპოზიციას გაცხადებული აქვს, რომ სალომე ზურაბიშვილი მათი პრეზიდენტი არ არის.

– ეს პოლიტიკა არ არის. წარმოიდგინეთ, მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც ანალოგიურად რომ განაცხადონ. ამერიკაში სხვა პარტიებიც არის, მაგრამ ძირითადად ორპარტიული ქვეყანაა. როცა იმარჯვებს ერთ-ერთი პარტიის წარმომადგენელი, მიუხედავად მათ შორის საკმაოდ სერიოზული დაპირისპირებისა, მეორე პარტია ხალხის არჩევანსა და ინსტიტუტს პატივს სცემს.

როცა ამერიკის პრეზიდენტი ამერიკის პარლამენტში სიტყვით წარდგება, წარმოუდგენელია, დემოკრატები წარმოდგენილი არ იყვნენ და პარლამენტი დატოვონ, რაც ინსტიტუტის მიმართ უპატივცემულობაა. მეორე – პარლამენტში ყოფნა იმის საშუალებას იძლევა, რომ სიტყვით გამოვიდნენ უმრავლესობის, უმცირესობის, ფრაქციის ლიდერები და დასვან კითხვები, გამოთქვან მოსაზრებები.

დავუშვათ, გაემარჯვა არა სალომე ზურაბიშვილს, არამედ გრიგოლ ვაშაძეს, გრიგოლ ვაშაძე პარლამენტში ანგარიშით მისულიყო და „ქართული ოცნება“, რომელსაც პარლამენტში უმრავლესობა ჰყავს, დაეტოვებინა სხდომათა დარბაზი. იქ კი 40 ოპოზიციონერი დეპუტატი დარჩენილიყო. ვაშაძე, ფაქტობრივად, ცარიელ დარბაზში დარჩენილიყო. ეს ინსტიტუციების – პრეზიდენტისა და პარლამენტის ინსტიტუტების – პატივისცემა იქნებოდა? რა თქმა უნდა, არა. „ქართული ოცნების“ საქციელს, უბრალოდ, გამართლება არ ექნებოდა.

ეს მათ ძალიან კარგად ესმით. უბრალოდ, ინსტიტუციებსა და საზოგადოებას პატივს არ სცემენ. ის მწვავე კითხვები, რომლებსაც სხვადასხვა ტელევიზიების ტელეეთერებით კორიანტელივით გვაწვდიან, პარლამენტში პრეზიდენტისთვის უნდა დაესვათ. სამწუხაროდ, სხვა სურათს ვადევნებთ თვალს.

– ოპოზიციის ამგვარი პოლიტიკა და მიდგომა რით არის გამოწვეული? ეს პოლიტიკური კულტურიდან მოდის? უკვე 30 წელია, დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ და დამოუკიდებელი პარლამენტებია. ვერ გავიზარდეთ? პოლიტიკური კულტურა ვერ ჩამოგვიყალიბდა? თქვენ რა პრობლემას ხედავთ?

– თქვენს კითხვაში არის პასუხი. ჩვენ არ გაგვაჩნია პოლიტიკური კულტურა და საზოგადოებისადმი პატივისცემა. ჩვენი ბრალიც არის, რომ ასეთი პოლიტიკური სპექტრია დღეს წარმოდგენილი.

– რას გულისხმობთ?

– პრეზიდენტის ავტორიტეტზე ისეთი პოლიტიკოსები საუბრობენ, რომლებსაც პოლიტიკური მაჯისცემა არ ესინჯებათ.

– როგორ შეიძლებოდა, ნაცები და ევრონაცები პარლამენტში დაბრუნებულიყვნენ პრეზიდენტის მოსასმენად, როდესაც საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით ბოიკოტის რეჟიმში არიან? ეს მათი მხრიდან ბოიკოტთან შეუთავსებლობა არ იქნებოდა?

– ისინი ამბობენ, რომ გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით პარლამენტში შევლენ, არ ამბობენ, რომ მთლიანად ბოიკოტის რეჟიმში არიან. ისინი სხვადასხვა კომიტეტის სხდომაზე ხომ შედიან? ყველას უნდა ესმოდეს, რომ უმცირესობაც ხელისუფლებაშია. პარლამენტი მთლიანად – მისი 50 დეპუტატი – ხელისუფლებაშია. უბრალოდ, იქ ვიღაცას უმრავლესობა აქვს და მთავრობას აყალიბებს, ვიღაცას – არა, მაგრამ ხელისუფლებაშია.

ამიტომ პარლამენტში უნდა მიიტანონ ხალხის ხმა. მათი ძირითადი სამუშაო ადგილი პარლამენტის სხდომათა დარბაზსა და კაბინეტებშია. კაბინეტი არის დამხმარე. ქუჩა არ არის მათი ძირითადი სამუშაო ადგილი და ქუჩაში დგომისთვის არ ვუხდით ფულს. ეს არის ამოსავალი წერტილი, რის გაგებაც არ უნდათ და საკუთარ თავს საკმაოდ კომფორტულ სიტუაციაში აყენებენ, როცა უნდათ, შევლენ, როცა არ უნდათ – არ შევლენ.

უმცირესობა იმისთვის არის საჭირო, რომ მუდმივ ფორმაში ამყოფოს ხელისუფლება, იყოს ალტერნატივა და მონაწილეობა მიიღოს საკანონმდებლო საქმიანობაში, შევიდნენ თავიანთი საკანონმდებლო ინიციატივებით. ამ დროს ჩვენ ვხედავთ აბსურდულ სიტუაციებს – ხშირად პერფორმანსებს წარმოგვიდგენენ ხოლმე.

ჩვენ პერფორმანსებს არ ვაფინანსებთ, ვაფინანსებთ საკანონმდებლო საქმიანობას. სერიოზული ბერკეტებია იმისათვის, რომ გამოიყენონ მათთვის მიცემული დრო. საარჩევნო სისტემასთან პრეზიდენტის გამოსვლას არავითარი კავშირი არ აქვს. მიმაჩნია, რომ პრეზიდენტის გამოსვლას ყველა დეპუტატი უნდა დაესწროს.

– „ქართული ოცნების“ დეპუტაცია მზად არის, არაორდინარული ოპოზიციის კრიტიკა მოისმინოს? პარლამენტში ოპოზიცია – ნაცმოძრაობა და ევრონაცები – „ოცნებას“ დისკომფორტს ხომ უქმნის?

– რა დისკომფორტი შეუქმნეს? პრეზიდენტი მოხსენებით წარდგა, რომელ მოხსენებასთან დაკავშირებითაც შეიძლებოდა ყოფილიყო გარკვეული კრიტიკული მოსაზრებები. ოპოზიციას შეეძლო მისი გახმოვანება, მაგრამ ეს საშუალება არ გამოიყენა. დარბაზს მათი არყოფნა დიდად არ დამჩნევია, მაგრამ მათ რეგლამენტი არ გამოიყენეს.

მე ვისურვებდი, პრეზიდენტი იქნება თუ სხვა, მიკროფონის საშუალებით შეუქმნან დისკომფორტი და მწვავე დისკუსიის გარემო შექმნან. აბა, პრეზიდენტსა და „ოცნებას“ რა დისკომფორტი შეუქმნეს? პრეზიდენტმა თავისუფლად გააკეთა მოხსენება, შემდეგ წარდგა უმრავლესობის ლიდერი თავისი მოხსენებით. სხვა რამე ალტერნატიული მოხსენება იქ არ გაკეთებულა.

ოპოზიციას დიპლომატიური კორპუსის თანდასწრებით შეეძლო, პარლამენტის ტრიბუნა მეტად ეფექტურად გამოეყენებინა. მსგავსი არაფერი მომხდარა. ბოლოს გამოვიდა პრეზიდენტი, რამდენიმე სიტყვით შეაჯამა ყველაფერი და დამთავრდა. ეს არის დისკომფორტი? პირიქით, თავისი არაეფექტური გადაწყვეტილებით ოპოზიციამ პრეზიდენტსა და „ოცნებას“ კომფორტი შეუქმნა.

ხატია დეკანოიძე: „თუ „ოცნება“ კომპრომისზე არ წამოვა, აშშ სანქციებს დაუწესებს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– მე ვფიქრობ, უკვე დიდი ხანია, რაც ხელისუფლება კრიტიკულ ზღვარზეა, ისევე, როგორც პოლიტიკურ კრიზისში. სამწუხაროა, რომ „ქართულ ოცნებას“ ეს არ ესმის. პირველ რიგში კი ეს ქვეყნისთვის არის სამწუხარო. ამიტომ ევროპარლამენტარების ასეთი წერილი, რომელიც საერთოა, გასაკვირი ნამდვილად არ არის. ამ წერილს კრიტიკულ გზავნილებს ნამდვილად ვერ დავარქმევ, იმიტომ, რომ ეს არის ძალიან მკაცრი შეფასებები იმ სიტუაციაზე, რომელიც ქვეყანაშია შექმნილი.

ეს ეხება პროპორციული სისტემის უკან წაღებას, პოლიტიკურ რეპრესიებს და ა.შ. ამიტომ, მე ვფიქრობ, შედეგი თვითონ ბიძინა ივანიშვილისთვის იქნება ძალიან ცუდი.

– ივანიშვილისთვის რა შეიძლება იყოს შედეგი?

– ალბათ კიდევ უფრო დამძიმებული ფონი ხელისუფლებასთან კომუნიკაციაში. მათ შორის ბიძინა ივანიშვილთან და მის ახლო გარემოცვასთან მიმართებით მოსალოდნელია, რომ რაღაც სპეციალური შეზღუდვები დაწესდება.

– გიგი უგულავას განცხადება როგორ გაიგეთ? პოლიტიკურ პარტიებს უგულავა მოგიწოდებთ, რომ მისი დაპატიმრების საკითხი არ იყოს გადამწყვეტი და, თუ იქნება პროპორციულთან მიახლოებული გადაწყვეტილება, მას დაუჭიროთ მხარი.

– მე ვფიქრობ, გიგი უგულავას გავრცელებული წერილი ნამდვილად ღირსეული განცხადებაა. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ქვეყანაში ჩვენ გვყავს პოლიტიკური პატიმრები. ესენი არიან ბიძინა ივანიშვილის პირადი პატიმრები. გიგი უგულავა, გიორგი რურუა და ირაკლი ოქრუაშვილი სწორედაც რომ ბიძინა ივანიშვილის პირადი პატიმრები არიან.

გიგი უგულავას განცხადებაში ძალიან მნიშვნელოვანი გზავნილია ის, რომ საარჩევნო სისტემა შეიცვალოს და შეიქმნას ისეთი, რომელიც მაქსიმალურად იქნება დაახლოებული პროპორციულთან, ანუ ის, რაზეც ჩვენ, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები ვსაუბრობთ და რის მიღებასაც ვთხოვთ ხელისუფლებას. ეს არის ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და, რასაკვირველია, ეს ამ ადამიანებსაც ძალიან კარგად ესმით.

რა შეთავაზება იქნება „ქართული ოცნების“ მხრიდან, არ ვიცი, მაგრამ, მე ვფიქრობ, რაღაც კეთილგონივრული შეთავაზება მისი მხრიდან არ იქნება. ისინი საუბრობენ 110/40-ზე, რასაც, ბუნებრივია, ჩვენ არ დავეთანხმებით. ამაზე ძალიან მკვეთრი განცხადება გვქონდა.

ჩვენ თავიდანვე ვუთხარით მმართველ გუნდს, რომ ორი პირობა უნდა შესრულდეს. ერთია ის, რომ მაქსიმალურად დაუახლოვდეს საარჩევნო სისტემა პროპორციულს, მეორეა, შეწყდეს ოპონენტების პოლიტიკური დევნა და გათავისუფლდნენ პოლიტპატიმრები. რასაკვირველია, ეს პირობები ძალაში რჩება და მათგან გადახვევას არ ვაპირებთ.

– ანუ 120/30-ზე შემოთავაზებას არ ელოდებით ხელისუფლებისგან?

– ხელისუფლების წარმომადგენლების ბოლო კომენტარებს თუ დავეყრდნობით, როგორც ჩანს, მათი შემოთავაზება 110/40-ზე იყო. მე გამიჭირდება ამაზე კონკრეტული პასუხი და ვერ გეტყვით, რას გადაწყვეტს ბიძინა ივანიშვილი, მაგრამ, როგორც ჩანს, მათი ბოლო გადაწყვეტილება ამას უახლოვდება.

– ივანიშვილს დასავლეთის სანქციების არ ეშინია და არ წამოვა 120/30-ზე?

– შიში, რა თქმა უნდა, აქვს, მაგრამ ცდილობს, რომ სწორედ ამ შიშის გამო შეინარჩუნოს ძალაუფლება, რაც ნებისმიერ კონფიგურაციაში წარმოუდგენელია.

– თქვენი საბოლოო პასუხი იქნება ის, რომ პოლიტპატიმრების თემა მაინც წინა პლანზე წამოვა და ამის დათმობის გარეშე „ოცნების“ შემოთავაზებას არ დასთანხმდებით?

– ჩვენი საბოლოო შემოთავაზება კი არა, არამედ გეგმა არის მაქსიმალური პროპორციულობა. 110/40-ზე არ ასახავს ამ მაქსიმალურ პროპორციულობას და ეს, რასაკვირველია, არის პოლიტიკური დევნის შეწყვეტაც.

– ამ განცხადებების მიუხედავად, რაც გააკეთეს უგულავამ და რურუამ, მაინც არ აპირებთ ამ გეგმის შეცვლას?

– მაქსიმალური პროპორციულობა ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომ, ვნახოთ, რა შეთავაზება იქნება ხელისუფლების მხრიდან და ამის მიხედვით მივიღებთ ჩვენც შესაბამის გადაწყვეტილებას.

ქურდული სამყაროს წევრობისა და ქურდული სამყაროს წევრისადმი მიმართვის ბრალდებით 4 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად, თბილისში ჩატარებული კომპლექსური სპეციალური ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ქურდული სამყაროს წევრობისა და ქურდული სამყაროს წევრისთვის მიმართვის ბრალდებით 4 პირი დააკავეს.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, მოსამართლის განჩინების საფუძველზე დაკავებული არიან: 1988 წელს დაბადებული ლ.გ., 1991 წელს დაბადებული გ.დ., 1986 წელს დაბადებული ა.დ. და 1977 წელს დაბადებული გ.მ.

გ.მ.-ს ბრალად ედება ქურდული სამყაროს წევრისთვის მიმართვა, ხოლო ლ.გ.-ს, ა.დ.-ს და გ.დ.-ს – ქურდული სამყაროს წევრობა.

დანაშაულები 3-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ერთ-ერთმა დაკავებულმა ფინანსური დავის გადაწყვეტის მიზნით მიმართა ქურდული სამყაროს წევრებს, რომლებმაც არსებულ დავაში საზღვარგარეთ მყოფი ქართველი კანონიერი ქურდი თ.ჭ. ჩართეს. ქურდული სამყაროს წევრებს შორის შედგა სატელეფონო ქურდული გარჩევა, რომლის შედეგადაც დავა გ.მ.-ს სასარგებლოდ გადაწყდა და მოდავე მხარეს 4500 ლარის და 6300 აშშ დოლარის ერთი თვის ვადაში გადახდა დაეკისრა.

ქურდული სამყაროს წევრების მხრიდან სისტემატური ზეწოლის შედეგად აღნიშნულ პირს დაკისრებული თანხის ნაწილი – 4500 ლარი და 1800 აშშ დოლარი გამოსძალეს.

პოლიციამ, ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო კომპიუტერული ტექნიკა და ბრალდებულების მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთს და საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ კანონიერ ქურდს უკავშირდებოდნენ.

გამოძიება ქურდული სამყაროს წევრობისა და ქურდული სამყაროს წევრისთვის მიმართვის ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილითა და 223-ე მე-4 პრიმა მუხლით მიმდინარეობს.

ქობულეთში 70 წლის მამაკაცი დაიწვა

გუშინ, 5 მარტს, ქობულეთში, სოფელ ჭახათში, 70 წლის მამაკაცი ხანძრის შედეგად დაიღუპა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თვითმხილველებმა განუცხადეს, 70 წლის მამაკაცი საკუთარ სახლთან საგაზაფხულო სამუშაოებს ატარებდა. ნარჩენების დაწვისას მას ცეცხლი მოეკიდა და ადგილზე დაიღუპა.

მომხდარზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 187-ე მუხლის მესამე ნაწილით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით ადამიანის სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

„ბოლო რამდენიმე თვე სულ ემუქრებოდა“

ხაშურში ქმარმა ცოლი გულის არეში დაჭრა

გუშინ, 5 მარტს, ხაშურში ქმარმა ცოლი დაჭრა.

როგორც თვითმხილველები ამბობენ, ის ქალს უამრავი ადამიანის თვალწინ თავს მოუღოდნელად დაესხა.

მედიკოსების განცხადებით, ქალს მრავლობითი დაზიანებები აქვს, კერძოდ, შემავალი ჭრილობები გულმკერდისა და მუცლის არეში აღენიშნება.

– ხალხმრავლობა იყო, მივედი და გოგო იყო დაჭრილი. ორჯერ ჰქონდა მუცელში დანა დარტყმული. ძმაკაცები მომეხმარნენ და საავადმყოფოში გადავიყვანეთ, – თქვა თვითმხილველმა.

– ადგილზე ხალხი იყო შეკრებილი, უცებ დავინახეთ, რომ ქალი დაეცა, წიხლებით სცემდა, მერე უკვე ხალხი შემოეხვივნენ. მე არ დამინახავს, მაგრამ დანა დაარტყაო. ის ბიჭი დაიჭირეს, – თქვა მეორემ.

ახალგაზრდა ქალს ოპერაცია ჩაუტარდა. მას რამდენიმე წამის განმავლობაში გული გაუჩერდა, თუმცა ექიმებმა მისი ამუშავება შეძლეს.

– გულ-მკერდისა და მუცლის ღრუს შემავალი ჭრილობები გახლდათ. ასევე, სხვადასხვა ორგანოს დაზიანებით. დაუყოვნებლივ მოვათავსეთ საოპერაციო ბლოკში, – განაცხადა „ახალი კლინიკის“ დირექტორმა კახა ხელაძემ.

„კურიერთან“ საუბრისას დაზარალებულის მშობლები ყვებიან, რომ მამაკაცი ცოლზე სისტემატურად ძალადობდა.

ქალის ნათესავის თქმით, ახალგაზრდა ქალი ქმართან დაშორებას ცდილობდა, ხოლო 28 წლის მამაკაცი ცოლს გამუდმებით ემუქრებოდა. რესპონდენტმა ახალგაზრდა ქალს ურჩია, მუქარის საფუძველზე პოლიციისთვის მიემართა და შემთხვევა სწორედ ამის შემდეგ მოხდა.

– ბოლო რამდენიმე თვეა, რაც ემუქრება. მუქარის მესიჯებს უგზავნის. არამარტო მას, არამედ ყველას. ჩემთანაც აქვს დღეს მონაწერები, ამ გოგოს დასთანაც მიმოწერები აქვს, საშინელი მესიჯები გადმომიგზავნეს დილით. ბავშვები ტიროდნენ, რა ხდება, გაგვაგებინეო. მერე ვუთხარი სალომეს, რომ წავიდეთ და საჩივარი დავწეროთ-მეთქი, უკვე ძალიან ზედმეტი მოსდიოდა და წამოვიყვანეთ, რომ საჩივარი დაეწერა. ამის შემდეგ ისე უცაბედად მოხდა ყველაფერი, რომ არ ვიცი, – განაცხადა დაჭრილი ქალის ნათესავმა.

მოგვიანებით პოლიციამ ერთი პირი დააკავა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ხაშურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1992 წელს დაბადებული მ.ლ., ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, ცხელ კვალზე დააკავეს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ხაშურში, ერთ-ერთ ქუჩაზე, ყოფილ მეუღლეს – 1995 წელს დაბადებულ ს.ჩ.-ს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, დანით გულ-მკერდისა და მუცლის არეში რამდენიმე ჭრილობა მიაყენა.

პოლიციის მისვლამდე, ბრალდებული შეაჩერა და განაიარაღა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელმა, უმცროსმა ინსპექტორმა ალექსი ტაბატაძემ, რომელიც არასამუშაო დროს ქალაქ ხაშურში იმყოფებოდა და მომხდარ ფაქტს შეესწრო.

პოლიციამ მ.ლ. შემთხვევის ადგილზე დააკავა. სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღეს. გამოძიება, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 19-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“, – აღნიშნულია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

დამნაშავე განაიარაღა პოლიციელმა ალეკო ტაბატაძემ, რომელიც ხაშურში არასამუშაო დროს იმყოფებოდა

ზურაბ ადეიშვილს ტელეკომპანია „იბერიის“ საქმეზე 1,6 წელი მიუსაჯეს

თბილისის საქალაქო სასამართლომ ტელეკომპანია „იბერიის“ დახურვისა და სამაუწყებლო ლიცენზიის იძულებით ჩამორთმევის საქმეზე ყოფილ გენერალურ პროკურორ ზურაბ ადეიშვილს დაუსწრებლად 1,6 წლით პატიმრობა განუსაზღვრა, ამასთან, თანამდებობის დაკავების უფლება 2 წლით აუკრძალა.

ადეიშვილს სასამართლომ 2 წლით პატიმრობა შეუფარდა და 3 წლის ვადით თანამდებობის დაკავების უფლება ჩამოართვა, თუმცა „ამნისტიის შესახებ კანონით“ მას სასჯელი 1/4-ით შეუმცირდა და 1,6 წლით პატიმრობა განესაზღვრა, ხოლო თანამდებობის დაკავება აეკრძალა 2 წლით.

ამავე საქმეზე ბრალდებულ მის მოადგილეს 40 000 ლარი ჯარიმა განესაზღვრა, მას აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო ჰქონდა შეფარდებული.

ადეიშვილსა და გიორგი ლაცაბიძეს ბრალი 2016 წელს, სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით წაუყენეს, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს.

გამოძიების ინფორმაციით, ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგენილია, რომ 2004 წლის იანვარში, საქართველოს ახლად არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მათ შორის გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა გადაწყვიტეს ხელში ჩაეგდოთ „ომეგა ჯგუფის“ კუთვნილი ტელეკომპანია „იბერია ტვ“-ს სამაუწყებლო ლიცენზია, რათა ტელევიზია ხელისუფლების მიერ ყოფილიყო კონტროლირებადი.

ამ მიზნით შემუშავებულ იქნა დანაშაულებრივი გეგმა, რომლის განხორციელებაც საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა და მისმა მოადგილე გიორგი ლაცაბიძემ ითავეს.

დეკანოზ გიორგი მამალაძის საქმის განხილვა 17 მარტამდე გადაიდო

„დადასტურდა, რომ ჩემი ძმის მდგომარეობა რთულია“

გლდანის მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა დაწესებულებაში დეკანოზ გიორგი მამალაძისთვის სასჯელის გადავადების სასამართლო საქმის განხილვა 17 მარტის 12:00 საათისთვის გადაიდო.

დეკანოზ გიორგი მამალაძის ძმის ინფორმაციით, გლდანის მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა დაწესებულებაში მიმდინარე სასჯელის გადავადების საქმის მოსამართლე ლილი მსხილაძე 2014 წელს სპატრიარქოს უნივერსიტეტში ასწავლიდა და მეუფე იაკობთან დაახლოებული პირი იყო, რაც სპატრიარქოს მხრიდან სასამართლო პროცესში ჩარევის რისკებს ზრდის.

თორნიკე მამალაძის თქმით, თუ 17 მარტამდე სასამართლოს საქმიანობაში ვინმე არ ჩაერევა, აუცილებლად მოხდება სასჯელის გადავადება.

– დადასტურდა ის, რომ ჩემი ძმის ჯანმრთელობის მდგომარეობა არის რთული. ეს დაადასტურა თავად მკურნალმა ექიმმა, რომელიც ციხეში გადმოყვანის დღიდან არის მასზე მიმაგრებული.

მოწმეების გამოკითხვით დასტურდება ისიც, რომ მისი გადაადგილება ვერ ხერხდება დამოუკიდებლად და შეუძლებელია გლდანის №18 დაწესებულებაში მისი მკურნალობა, ამიტომ საჭიროა მისი სასჯელის გადავადება.

თუ 17 მარტამდე სასამართლოს საქმიანობაში ვინმე არ ჩაერევა იქნება ეს მთავრობის თუ საპატრიარქოს წარმომადგენლები იმ გამოკვლევებით, რაც ამ დრომდე ჩატარდა აუცილებლად მოხდება სასჯელის გადავადება, – აღნიშნა თორნიკე მამალაძემ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში სადეზინფექციო სამუშაოები გრძელდება



საქართველოს მთავრობის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქალაქეთა მომსახურების ცენტრებში კორონავირუსის პრევენციისა და პროფილაქტიკის მიზნით ინტენსიური სადეზინფექციო სამუშაოები გრძელდება.

პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში სპეციალური ხსნარებით დამუშავდა ქვეყნის მასშტაბით, მომსახურების სააგენტოს ყველა სტრუქტურული ერთეული. დამუშავდა, როგორც მომსახურების დარბაზები და ოპერატორთა მაგიდები, ისე ყველა ის ოთახი, რომლითაც მომსახურების სააგენტოს თანამშრომლები სარგებლობენ. კერძოდ, დეზინფექცია ჩაუტარდა მომსახურების სააგენტოს სამუშაო ოთახებს, საგამოცდო ოთახებს, დერეფნებს, სველ წერტილებსა და ტექნიკურ სათავსოებს. სპეციალური ხსნარით დამუშავდა საგამოცდო მანქანებიც.

მომსახურების სააგენტოს ყველა ფილიალში მოქალაქეთა მომსახურების სივრცეები სპეციალური ხსნარით ყოველდღიურად მუშავდება. გარდა ამისა, დღეში რამდენიმეჯერ იწმინდება მოქალაქეთა მისაღებში განთავსებული ინვენტარიც.

კორონავირუსის გავრცელების პრევენციისა და რისკების ეფექტიანი მართვის მიზნით სადეზინფექციო სამუშაოები შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ყველა ფილიალში რეგულარულად ჩატარდება.

„იმედი მქონდა, რომ სასწაული მოხდებოდა“

ირაკლი ოქრუაშვილის დაცვის წევრი კობა კოშაძე გამოუშვეს

გუშინ, 5 მარტს, „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერ ირაკლი ოქრუაშვილის დაცვის წევრი კობა კოშაძე სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს.

ის პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე გათავისუფლდა.

ბრალდებულ კობა კოშაძის მიმართ სასამართლომ გააუქმა აღკვეთის ღონისძიების სახედ გამოყენებული პატიმრობა. მას 5.000-ლარიანი გირაო შეეფარდა.

– მე ჩემს თავში დარწმუნებული ვიყავი, რომ უდანაშაულო ვიყავი, – განაცხადა კობა კოშაძემ სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლების შემდეგ განუცხადა.

მისი თქმით, გათავისუფლებას არ ელოდა.

– იმედი მქონდა, რომ სასწაული მოხდებოდა, მაგრამ ერთხელ, ორჯერ რომ დავაყენეთ გირაო აღკვეთის შეცვლაზე, უკვე აღარ მქონდა მოლოდინი. დღეს ნამდვილად აღარ ველოდი. ველოდი, რომ ბოლომდე მივიდოდა და როგორც ხდება, გამიშვებდნენ საპატიმროში.

ძალიან გაკვირვებული ვარ, რაც შეეთიხნეს ეს ბრალდება. ერთ რამეს ვიტყვი, მე ისეთი სერიოზული პოლიტიკოსის გვერდით ვმუშაობდი, როგორიც არის ირაკლი ოქრუაშვილი, ყოველთვის მის სახეს წარმოვადგენდი და არასდროს გავაკეთებდი ისეთ რამეს, რომ მისი სახელი შემერცხვინა, არასდროს შევარცხვენდი ირაკლის, ასეთ რაღაცას არ გავაკეთებდი და არც ჩემს პიროვნებას ვაკადრებდი, რომ ვიღაცა მომდავებოდა რაღაც ჟანგიან „მაკაროვს“, – განაცხადა კოშაძემ.

კობა კოშაძეს ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას ედავებიან.

სუსმა 30.000 ლარის ქრთამად აღების ფაქტზე 1 პირი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე, სოფელ ჯანდარის ადმინისტრაციულ ერთეულში გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ა.მ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნულმა პირმა თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეებს, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ერთი წლის ვადით სარგებლობაში გადაცემის და სამსახურებრივი მფარველობის სანაცვლოდ, ქრთამის სახით 30.000 ლარი გამოართვა, რომელსაც იგი ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 11 წლამდე ვადით).

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

რუსთავთან მანქანას ცეცხლი წაეკიდა

4 მარტს რუსთავი-თბილისის ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე, რუსთავთან ახლოს, ავტომობილი დაიწვა.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, ნისანის მარკის ავტომობილს ცეცხლი მოძრაობის დროს გაუჩნდა.

ავტომობილის მძღოლმა მანქანიდან გადმოსვლა დროულად მოახერხა, ის არ დაშავებულა, თუმცა სრულად განადგურდა ავტომანქანა.

ხანძრის გამო მაგისტრალზე საავტომობილო მიმოსვლა დროებით შეზღუდული იყო.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო სახანძრო-სამაშველო სამსახურისა და საპატრულო პოლიციის რამდენიმე ეკიპაჟი.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

2020, 6 მარტი, №55

ვინ არის უკრაინის ახალი პრემიერი

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ უკრაინას ახალი პრემიერ-მინისტრი ჰყავს. გონჩარუკი დენის შმიგალმა შეცვალა.

დენის ანატოლის ძე შმიგალი 1975 წელს ლვოვში დაიბადა. ჰყავს მეუღლე და 2 ქალიშვილი. მისი ქონება 3,5 მილიონ გრივნას აღწევს.

შმიგალი იყო რიგი მსხვილი კომპანიების გენერალური დირექტორი. პოლიტიკურ საქმიანობას ვიქტორ იუშჩენკოს მმართველობისას შეუდგა. პრეზიდენტად იანუკოვიჩის არჩევის შემდეგ რეზერვში გადაინაცვლა. მიუხედავად ამისა, იანუკოვიჩმა შმიგალის ღვაწლი საჯაროდ აღნიშნა და მას ეროვნული ელიტის წევრი უწოდა.

ეს დიდად განაპირობა შმიგალის კავშირებმა ოლიგარქ რენატ ახმეტოვთან, რომელიც მაშინ იანუკოვიჩის მოლარე იყო. შმიგალი ახმეტოვის კუთვნილ „ზაჰიდენერგოში“, შემდეგ „ბშტანსკის ტესში“ მენეჯერად მუშაობდა.

პეტრო პოროშენკოს პრეზიდენტად არჩევის შემდეგ შმიგალი ივანო ფრანკოვსკის საოლქო ადმინისტრაციის თავკაცი გახდა.

ვლადიმერ ზელენსკიმ ის უკრაინის ვიცეპრემიერად დანიშნა და ტერიტორიული გრომადების, აგრეთვე რეგიონული რეფორმების კურირება დაავალა.

შმიგალი უკრაინის დასავლეთი რეგიონის პირველი წარმომადგენელია, რომელიც პრემიერი გახდა.

– ჩვენი ამოცანაა როგორც დონბასში ომის დამთავრება, ასევე ყირიმის დაბრუნება. ამას გარდა, უნდა განხორციელდეს მიზანმიმართული, დაუნდობელი ბრძოლა კორუფციასთან, დაიძლიოს ეკონომიკური პრობლემები, – შმიგალმა ეს პარლამენტში თანამდებობაზე დამტკიცების წინ განაცხადა.

ჩხუბი თურქეთის პარლამენტში

თურქეთის პარლამენტში პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის კრიტიკის გამო დეპუტატებს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა.

ერთმანეთს თურქეთის მმართველი პარტიისა და „რესპუბლიკური სახალხო პარტიის“ დეპუტატები დაუპირისპირდნენ.

ამის მიზეზი დეპუტატ ენგინ ოზქოჩის განცხადება გახდა, რომელმაც ერდოღანი ქვეყნის ღალატში დაადანაშაულა და სამარცხვინო უწოდა.

ამასთანავე, მან თურქეთის პრეზიდენტს სირიაში, იდლიბის პროვინციაში მოკლული თურქი სამხედროს მიმართ უპატივცემულობა დასდო ბრალად. ოზქოჩის თქმით, ერდოღანი უპასუხისმგებლო პრეზიდენტია, რადგან კონფლიქტის ზონაში სამხედრო დანაყოფები ავიაციის მხარდაჭერის გარეშე გააგზავნა.

ამ განცხადების შემდეგ თურქეთის პარლამენტის სპიკერმა მუსტაფა სენთოპმა მისი განცხადება დაგმო, რაც დაპირისპირებაში გადაიზარდა.

მაიკ ბლუმბერგი საპრეზიდენტო მარათონს გამოეთიშა

აშშ-ში სუპერსამშაბათი დასრულდა. როგორც ცნობილია, მასში ყოფილმა ვიცეპრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა გაიმარჯვა. როგორც ჩანს, ტრამპის კონკურენტი პრეზიდენტის პოსტზე სწორედ ის იქნება.

პრეზიდენტობის მეორე პრეტენდენტმა, მილიარდერმა მაიკ ბლუმბერგმა განაცხადა, რომ საპრეზიდენტო მარათონს ჩამოშორდა.

– პრეზიდენტის არჩევნებში მხარს ბაიდენს დავუჭერ, – თქვა ბლუმბერგმა.

პრეზიდენტობის კიდევ ერთმა პრეტენდენტმა ელიზაბეტ უორენმა ასევე შენიშნა, რომ, შესაძლოა, საპრეზიდენტო მარათონიდან გავიდეს.

– საბოლოო გადაწყვეტილებას ჩემს გუნდთან კონსულტაციის შემდეგ მივიღებ, – განაცხადა მან.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ქალმა ქმარი ნავით რომანტიკული გასეირნების დროს მოკლა

ამერიკის აიდაჰოს შტატში 66 წლის ქალი ნავით რომანტიკული გასეირნების დროს მეუღლის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი.

2018 წლის 13 თებერვალს ლორი აიზენბერგი, რომელიც იმ დროს 64 წლის იყო, და მისი 68 წლის მეუღლე ლარი ძრავიანი ნავით ტბა კერ-დ,ალენზე სეირნობდნენ. ისინი ვალენტინობის დღის განთიადის შეხვედრას გეგმავდნენ, თუმცა, როგორც ქალი ამტკიცებს, ნავის ძრავა ჩაქრა. მისი თქმით, ქმარი ძრავის თავზე დაიხარა, წონასწორობა დაკარგა და წყალში გადავარდა. ის შეეცადა მეუღლეს დახმარებოდა, მაგრამ ფეხი დაუცდა და თავი დაარტყა. აიზენბერგმა ორი საათის შემდეგ მეუღლის ტელეფონიდან დარეკა პოლიციაში და მომხდარის თაობაზე განაცხადა. მან დარეკვის დაგვიანება იმით ახსნა, რომ შემთხვევის ადგილის დატოვება არ უნდოდა.

2018 წლის მარტში ტბაში ლარი აიზენბერგის ცხედარი იპოვეს. პათოლოგოანატომის დასკვნის თანახმად, მამაკაცი არ დამხრჩვალა, ის მოიწამლა. მის ორგანიზმში დიფენგიდრამინის სასიკვდილო დოზა აღმოაჩინეს. ეს წამალი ალერგიის წინააღმდეგ, გაციების ზოგიერთი ნიშნების და პარკინსონის დაავადების ზოგიერთი სიმპტომების სამკურნალოდ გამოიყენება.

2019 წელს ლორი აიზენბერგმა აღიარა თავისი დამსაქმებლისთვის 500 ათასი დოლარის მოპარვის ფაქტი და მას ხუთი წლით პატიმრობა მიესაჯა. ამ დროს კი მისი მეუღლის დაღუპვის საქმის გამოძიება გრძელდებოდა. მის ანდერძში აღმოაჩინეს ხელით შეტანილი შესწორებები. ვიღაცამ შეცვალა საბუთი იმგვარად, რომ მემკვიდრეობის 80 პროცენტი შეხვედროდა არა მის ღვიძლ შვილებს, არამედ ლორას ექვს შვილს, რომლებიც მას სხვა ქორწინებიდან ჰყავდა.

2020 წლის 25 თებერვალს ლორა აიზენბერგს მკვლელობის

ბრალდება წაუყენეს. გამოძიების დასკვნა ჯერ ცნობილი არ არის, თუმცა ბრალდებაში ნახსენებია აიდაჰოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, რომელშიც ნახსენებია მოწამვლა. დაპატიმრების შემდეგ ქალს გირაოდ ორი მილიონი დოლარი დაუწესდა.

სტუდენტი გოგონას 28 წლის წინანდელი მკვლელობა გაიხსნა

ჩინეთის ცზიანსუს პროვინციის ქალაქ ნანკინში გაიხსნა გახმაურებული მკვლელობა, რომელიც 28 წლის წინ იქნა ჩადენილი.

1992 წლის 24 მარტს ქალაქ ნანკინის კანალიზაციაში სამედიცინო სასწავლებლის სტუდენტი გოგონას, გვარად ლინის, ცხედარი იპოვეს. გოგონა სასტიკად იყო მოკლული. ინფორმაციისთვის, რომელიც მკვლელის პოვნაში დაეხმარებოდა სამართალდამცავებს, ჯილდოს სახით 10 ათასი იუანი დაწესდა. 1992 წლისთვის ეს საკმაოდ დიდი თანხა იყო და ის ქვეყნის ჩვეულებრივი მოქალაქის ხუთი წლის შემოსავალს შეესაბამებოდა. მიუხედავად ამისა მკვლელის პოვნა ვერ მოხერხდა.

2020 წლის 23 თებერვალს ნანკინის პოლიციას ქალაქ სიუიჩჟოუს პოლიციის წარმომადგენელმა მიმართა, რომელიც ქალაქ ნანკინიდან 280 კილომეტრში მდებარეობს. ის მოყვა საკუთარი ეჭვის თაობაზე სიუიჩჟუს მცხოვრების ძაღლებით მოვაჭრე 54 წლის მამაკაცის მიმართ, რომელსაც შესაძლოა ლინის მოკვლის მოტივი ჰქონოდა. იმავე დღეს მამაკაცი დააკავეს და მისი დნმ-ი მტკიცებულებებზე 1992 წელს აღებული დნმ-ის ნიმუშებს შეადარეს. დამთხვევამ დაადასტურა, რომ ის მკვლელობის ადგილზე იმყოფებოდა.

ოქროს მაძიებელმა მიწის ქვეშ კენგურუ აღმოაჩინა

ავსტრალიის ვიქტორიას შტატში ოქროს მაძიებლის წყალობით გადაარჩინეს კენგურუ და მისი ნაშიერი, რომლებიც ღრმა მაღაროში ჩაცვივდნენ.

ყურადღება ოქროს მაძიებლისა, რომელიც დასახლებულ პუნქტ ვონში მუშაობდა, მაღაროს თხრილიდან ამომავალმა ხმაურმა მიიპყრო. მან შიგნით ჩაიხედა და 11 მეტრის სიღრმეში ჩავარდნილი მდედრი კენგურუ შენიშნა. გარეული ცხოველი გადარჩა, მაგრამ მაღაროდან დამოუკიდებლად თავის დაღწევას ვერ ახერხებდა.

ოქროს მაძიებელმა დახმარებისთვის მიმართა ორგანიზაციას, რომელიც ცხოველების გადარჩენით არის დაკავებული. შემთხვევის ადგილზე ორგანიზაციის დამფუძნებელი მანფრენდ ზაბინსკი მივიდა. მან მაღარო დაათვალიერა და მიხვდა, რომ კენგურუს გადასარჩენად შიგნით ჩასვლა დასჭირდებოდა.

სპეციალისტი შიშობდა, რომ ცხოველი, შესაძლოა, სერიოზულად იყო დაშავებული.

– მაღაროში არ იყო ისეთი არაფერი, რაც მის ვარდნას შეაფერხებდა და შედეგად ის შედარებით რბილად დაეცემოდა, – განმარტა მან, – მას, დიდი ალბათობით, სერიოზული დაზიანებები ჰქონდა მიღებული, შესაძლოა, დაეზიანებინა ხერხემალი, მოეტეხა თეძოს ან კიდურების ძვლები.

იმისთვის, რომ ცხოველს წინააღმდეგობა არ გაეწია, სამაშველო ოპერაციის მიმდინარეობისას მას ტრანკვილიზატორი ესროლეს. შემდეგ ზაბინსკი მაღაროში თოკით ჩაეშვა. ადგილზე მან აღმოაჩინა, რომ კენგურუ ეგდო ძირგამომპალ ზედაპირზე, რომელიც, შესაძლოა, ნებისმიერ მომენტში ჩანგრეულიყო.

– ჩემი მხრიდან დიდი სიფრთხილე იყო საჭირო, ვინაიდან იმ ზედაპირის ჩანგრევა, რომელზეც კენგურუ იწვა, მის უეჭველ დაღუპვას ნიშნავდა, – განაცხადა მან.

ზაბინსკიმ ცხოველი თოკზე მიბმულ სპეციალურ ტომარაში მოათავსა, რის შემდეგაც მაშველებმა ის მიწის ზედაპირზე ამოიყვანეს.

თავდაპირველი დათვალიერებისას კენგურუს ტრავმების ნაცვლად პატარა ნაშიერი აღმოუჩინეს, რომელიც მის ჩანთაში იყო ჩამაღული და არ დაშავებულა. მას შემდეგ, რაც ცხოველს საკვები და წყალი მისცეს, მან, ჩვეულებრივ, ხტუნვა დაიწყო, რაც იმის დადასტურება იყო, რომ კენგურუ სერიოზული დაზიანებების გარეშე გადარჩა. ზაბინსკის თქმით, ის ავსტრალიაში ყველაზე იღბლიანი კენგურუ გამოდგა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ: 599-294-293.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 160 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● მაქვს „ერექტორები“. ის აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს, არ შეიგრძნობა და უტყუარია კონტაქტების დროს თვით სქესობრივად უძლურებშიც. მის შესახებ ცნობები შეტანილია უროლოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასებში. ტელ: 2-99-95-33; 593-60-60-44 იკითხეთ ექიმი მერაბი.

ქართველი კალათბურთელები საზღვრებს გარეთ ყოჩაღობენ

საკალათბურთო ევროლიგაში ბასკონიამ ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა. 27-ე ტურში ვიტორიელებმა მიუნხენში ბაიერნს 80:71 აჯობეს. გერმანელებმა პირველ პერიოდში იმძლავრეს, მაგრამ შემდეგ თამაშის სადავეები სტუმართა ხელში გადავიდა და გამარჯვებაც ბასკონიას დარჩა.

მატჩის მვპ-ის ტიტული თორნიკე შენგელიას საკუთრება გახდა. ქართველმა მძიმე ფორვარდმა 28 წუთში 11 ქულა, 4 მოხსნა, 5 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა. შენგელიამ 6-დან 4 ორქულიანი და 2-დან 1 სამქულიანი ჩააგდო, შედეგად მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 18-ს გაუტოლდა, რაც თანაგუნდელთა შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო.

ბაიერნში მარგი ქმედების 29 კოეფიციენტი გრეგ მონროს ჰქონდა, მაგრამ ბასკონიამ იმარჯვა, ამიტომაც საუკეთესოს ტიტული ქართველ კალათბურთელს ერგო.

ნატურალიზებული მეტ ჯენინგი საკუთარ გუნდს 25 წუთში 8 ქულით, 4 მოხსნით, 3 პასითა და 1 ჩაჭრით შეეწია (მარგი ქმედების 13 კოეფიციენტი).

ბასკონიას 11 გამარჯვების საპირისპიროდ 16 მარცხი აქვს და სატურნირო ცხრილში მე-13 ადგილზეა, მაგრამ ფლეი ოფში გასასვლელ ზონას 1 მოგებით ჩამორჩება. ესპანელები მომდევნო ტურში ბერლინის ალბას უმასპინძლებენ.

საკალათბურთო ჩემპიონთა ლიგაში კი გიორგი შერმადინი შედეგიან თამაშს აგრძელებს. მერვედფინალის პირველ შეხვედრაში იბეროსტარ ტენერიფემ ბელგიურ ოსტენდეს უმასპინძლა და ადვილად, 85:75 დაამარცხა. ესპანელები უპირატესობას საწყისი წუთებიდანვე დაეუფლნენ და თამაში ლოგიკურ გამარჯვებამდე მიიყვანეს.

გიორგის მატჩის მვპ-ის ტიტულამდე ძალიან ცოტა დააკლდა. შერმადინმა პარკეტზე 24 წუთი გაატარა, მაგრამ 25 ქულა მაინც ჩააგდო, ამასთან, 5 მოხსნა, 1 პასი და 3 ჩაჭრა მიითვალა. ქართველმა ცენტრმა 13-დან 9 ორქულიანი (69.2%) და 8-დან 7 საჯარიმო (87.5%) ჩააგდო, შედეგად, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 28-ს გაუტოლდა.

25 ქულით ჩვენებური მატჩის საუკეთესო მექულე გახდა, მაგრამ მარგი ქმედების კოეფიციენტის მაჩვენებლით მცირედით ჩამორჩა თანაგუნდელ მარსელინო უერტასს (29).

ამრიგად, იბეროსტარ ტენერიფე სერიაში დაწინაურდა, ხოლო მეორე მატჩი ბელგიაში შედგება.

ნბა-ში ზედიზედ 4 მოგების შემდგომ მარცხი განიცადა გოგა ბითაძის ინდიანა პეისერსმა. ქართველი კალათბურთელის გუნდი სტუმრად მილუოკი ბაქსს დაუპირისპირდა და 19 ქულიანი სხვაობით, 119:100 წააგო.

ნეიკ მაკმილანმა ქართველ ცენტრს სათამაშოდ არასრული 8 წუთი მისცა, რომლის დროსაც გოგამ 9 ქულა, 1 მოხსნა შეასრულა. გოგამ 3-ვე ორქულიანი ჩააგდო, ხოლო 4 სამქულიდან – 1.

შეხვედრაში ყველაზე მეტი ქულა იანის ანტეტოკუმპომ ჩააგდო. ბერძენმა კალათბურთელმა 28 წუთში 29 ქულა, 12 მოხსნა და 6 პასი მიითვალა, ინდიანადან კი, ტრადიციულად, ორმაგი დუბლით დომანტას საბონისი გამოირჩა.

62 ტურის შემდგომ ინდიანაპოლისელებს 37 გამარჯვების საპირისპიროდ 25 მარცხი აქვთ და აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-5 პოზიციაზე იმყოფებიან, მომდევნო შეხვედრას კი ჩიკაგო ბულსის წინააღმდეგ ჩაატარებენ.

ამერიკაშივე, ნცაა-ს ლიგაში სანდრო მამუკელაშვილის სეტონ ჰოლმა ვილანოვას უმასპინძლა და 77:79 დამარცხდა.

სეტონ ჰოლი თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში აგებდა, მაგრამ, საფინალო სირენასთან ერთად, გამარჯვების მოპოვებაც შეეძლოთ, თუმცა მაილს კეილის სამქულიანმა მიზანს არ უწია.

არადა, მამუკელაშვილმა ვილანოვას წინააღმდეგ შესანიშნავად იასპარეზა და 29 წუთში 20 ქულა, 10 მოხსნა და 1 დაფარება მოაგროვა. ჩვენებურმა მეტოქის ფარს შესაშური პროცენტით შეუტია და 4-დან 3 სამქულიანი, 6-დან 5 ორიანი და 1 საჯარიმო ჩააგდო.

სეტონ ჰოლს ბიგ ისტის კონფერენციაში 13 მოგება და 4 წაგება აქვს. „მეკობრეებს“ მომდევნო შეხვედრაში რთული გამოცდის ჩაბარება მოუწევთ და უშუალო კონკურენტს, მეორეადგილოსან კრეიტონს დაუპირისპირდებიან.

ბუდუ ზივზივაძე: „ნაკრებში თამაში ყველა სპორტსმენის ოცნებაა“

საქართველოს საფეხბურთო ნაკრები ბოლო პერიოდში გოლის გამტანი თავდამსხმელის ნაკლებობას განიცდის. ვლადიმირ ვაისს ამ მხრივ ბევრი საფიქრალი აქვს. სლოვაკმა სპეციალისტმა გიორგი ქვილითაიასთან ერთად რამდენიმეჯერ ნიკა კაჭარავა და ელგუჯა ლობჟანიძე გამოცადა. გაფართოებულ შემადგენლობაში მოიაზრებს ბაჩანა არაბულსა და ბუდუ ზივზივაძეს.

არადა, უნგრული მეზოკოვესდის ქართველ შემტევ ზივზივაძეს კარგი სეზონი აქვს. მადიართა ჩემპიონატში ბომბარდირთა შორის არის, ხოლო ახლახან მისი გოლით მეზოკოვესდი უნგრეთის ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდა.

– ნახევარ სეზონზე მეტი გავიდა, რაც უნგრეთში ხარ. როგორ გრძნობ თავს მეზოკოვესდში?

– ძალიან მიხარია, რომ აქ ვთამაშობ. ყველა თვალსაზრისით კარგ მდგომარეობაში ვართ, რადგან კლუბის მენეჯმენტი ფეხბურთელებს იდეალურ პირობებს სთავაზობს. გულწრფელად მინდა ვთქვა, რომ ძალიან კარგი გადაწყვეტილება მივიღე აქ გადმოსასვლელად.

– რამდენად კმაყოფილი ხარ თამაშით?

– ჯერჯერობით გოლები გამაქვს, რაც ძალიან მახარებს. ეს ჩემი საქმეა, ასე შემიძლია გუნდის დახმარება, თუმცა ჩემი მიზანია, უფროსედგიანად ვითამაშო, რომ გუნდს გამარჯვებებში დავეხმარო. ასევე მინდა, ბომბარდირიც გავხდე. ჩემს თანაგუნდელებთან კარგად ვართ შეთამაშებული და მათთან თამაში ძალიან მომწონს.

– სწრაფად გახდი გულშემატკივრების ერთ-ერთი ფავორიტი. რამდენად მნიშვნელოვანია ქომაგების მხარდაჭერა?

– გულშემატკივარი მეთორმეტე ფეხბურთელია. ყოველთვის ვგრძნობთ ქომაგების მხარდაჭერას, შესანიშნავი გრძნობაა. მადლობას ვუხდით, რადგან მათ გარეშე ვერაფერს შევძლებდით. იმედი მაქვს, ერთად ბევრჯერ გავიხარებთ.

– გუნდი მოწინავე სამეულშია. რა არის წარმატების საიდუმლო?

– საიდუმლო არ არის, მაგრამ გუნდში ძალიან კარგი, ჰარმონიული განწყობაა. მართლაც ყველა პირობაა როგორც პროფესიონალურად, ისე ტექნიკურად. ჩვენ ვთამაშობთ კარგ ფეხბურთს და ჩვენ წინააღმდეგ თამაში ადვილი არ არის.

– ვიცით, რომ უნგრულ ენას სწავლობ. რამდენად რთულია?

– საკმაოდ რთული სიტყვები გაქვთ და მათი გამოთქმა ჩემთვის ნამდვილი გამოცდაა. მოხარული ვარ და ყველაფერს გავაკეთებ, რომ მაქსიმალურად სწრაფად ვისწავლო. ჩემი პირველი სიტყვა იყო მადლობა.

– მშვენიერ ფორმაში ხარ. ელოდები თუ არა ეროვნულ ნაკრებში გამოძახებას?

– სპორტსმენისთვის ყველაზე დიდი პატივია საკუთარი ქვეყნის ღირსების დაცვა. ჯერჯერობით მხოლოდ ოთხჯერ მიმიწვიეს ნაკრებში. რა თქმა უნდა, ოცნება მაქვს, რომ ვითამაშო საქართველოს ნაკრებში და ვგრძნობ, რომ მეზოკოვესდში ყველაფერი მაქვს ამ ოცნების ასასრულებლად.

ბაიერნმა ფანკლუბი დასაჯა

შეურაცხმყოფელი ბანერის გამო გერმანიის ბუნდესლიგის 24-ე ტურის მატჩი ჰოფენჰაიმსა და მიუნხენის ბაიერნს შორის 78-ე წუთზე რამდენიმე წუთით შეწყდა. ამ დროისათვის ანგარიში 6:0 გახლდათ რეკორდმაისტერის სასარგებლოდ.

საქმე ის არის, რომ მატჩის 66-ე წუთზე ბავარიული კლუბის გულშემატკივრებმა ჰოფენჰაიმის მფლობელის დიტმარ ჰოფის მისამართით შეურაცხმყოფელი ბანერი გამოფინეს. ბანერზე ეწერა – ჰოფი ნაბიჭვარია. მსაჯებმა მატჩი შეაჩერეს.

ბაიერნის მთავარი მწვრთნელი ჰანს-დიტერ ფლიკი თავის ფეხბურთელებთან ერთად მაშინვე გაემართა გულშემატკივრებისაკენ და ბანერის მოშორება მოითხოვა. ფლიკი აღშფოთებული იყო გულშემატკივრების მოქმედებით და აგრესიულად იქცეოდა. ჰოფენჰაიმის გულშემატკივრებმა კი ამის გამო ფლიკი და ბავარიის ფეხბურთელები მხურვალე ოვაციებითა და აპლოდისმენტებით დააჯილდოვეს.

მატჩი გაგრძელდა, მაგრამ 78-ე წუთზე მთავარმა არბიტრმა კვლავ შეაჩერა მატჩი და ორივე გუნდის ფეხბურთელებმა მოედანი დატოვა. გულშემატკივრებს უკვე კლუბის სპორტული დირექტორი ჰასან სალიჰამიჯიჩი და ოლივერ კანი მოუწოდებდნენ სიმშვიდისაკენ.

ცოტა მოგვიანებით მატჩი განახლდა, მაგრამ სოლიდარობის მიზნით ფეხბურთელებმა მოილაპარაკეს დარჩენილ დროში არ ეთამაშათ და უბრალოდ ერთმანეთში ეგორავებდნენ ბურთს. მატჩის შემდეგ ბაიერნის ფეხბურთელებმა აპლოდისმენტები მიუძღვნეს ჰოფენჰაიმის გულშემატკივრებს, რომლებმაც აპლოდისმენტებითვე უპასუხეს.

ფლიკმა რამდენიმე წელი დაჰყო ჰოფენჰაიმის სტრუქტურაში. ბაიერნის ამჟამინდელი თავკაცი 2000-05 წლებში ჰოფენჰაიმს წვრთნიდა, შემდეგ კი, 8 თვე კლუბის დირექტორად იმუშავა. ფლიკსა და ჰოფს ერთმანეთთან მეგობრული თბილი ურთიერთობები აკავშირებთ.

დიტმარ ჰოფი კი გერმანიაში მსხვილი ბიზნესის მფლობელია. ბავშვობაში თავადაც თამაშობდა ჰოფენჰაიმში, ხოლო 1990 წელს კლუბი შეიძინა. 2008 წელს „სოფლელები“ ისტორიაში პირველად გავიდნენ ბუნდესლიგაში, ხოლო 1 წლის შემდეგ ჰოფმა კლუბისთვის ახალი სტადიონი ააშენა. ჰოფენჰაიმის მფლობელმა თავის საყვარელ კლუბში 200 მილიონ ევროზე მეტი ჩადო.

ბაიერნის ფანები არც პირველნი და არც უკანასკნელნი არიან, რომლებიც ჰოფის წინააღმდეგ შეურაცხმყოფელ ბანერებს კიდებენ. ბევრი კლუბის გულშემატკივარია ჰოფენჰაიმის მფლობელის წინააღმდეგ. მიზეზი კი ის არის, რომ ჰოფი კლუბის მმართველობის ავტორიტარულ ფორმას მისდევს.

კარლ-ჰაინც რუმენიგე:

– მრცხვენია იმის გამო რაც მოხდა. ბოდიშს ვიხდი დიტმარ ჰოფის წინაშე. ჩვენ შესაბამის ზომებს მივიღებთ. ბაიერნმა ცუდი მხარე დაგვანახა. ყველაფერი ვიდეოკამერებით დაფიქსირდა და ამ ხალხის წინააღმდეგ ვიბრძოლებთ, მათ თავიანთი საქციელის გამო პასუხს მოვთხოვთ. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მსგავსი რამ აღმოვფხვრათ. ეს ხალხი ფეხბურთის მტერია. ისინი იძახიან – ეს ჩვენი კლუბია. არა, ეს თქვენი კლუბი არ არის. ჩვენ არ გვსურს, თქვენთან რამე საერთო გვქონდეს.

ამ ქმედების გამო „შიკერიამ“, ბავარიის მთავარმა ფანატურმა დაჯგუფებამ, ფანკლუბის სტატუსი დაკარგა და კლუბის ხელმძღვანელობამ ამ სეზონში ყველა მატჩის ბილეთი გაუუქმა.

მოამზადა მისიალ ყორყოლიანმა

რონალდინიო პარაგვაიში დააკავეს

ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელი რონალდინიო ყალბი დოკუმენტაციის გამოყენების გამო პარაგვაიში დააკავეს. პოლიციაში აქვს საქმე რონალდინიოს ძმასაც – რობერტო დე ასისს, რომელიც, კიდევ ერთ სხვა პირთან ერთად, ასევე დაკავებულია. მთავარ დარღვევად ის სახელდება, რომ რონალდინიო და რობერტო პასპორტში პარაგვაის მოქალაქეებად არიან მოხსენიებული.

როგორც პარაგვაის სამართალდამცავები აცხადებენ, 39 წლის ვარსკვლავსა და მის ძმას ბრალად საზღვრის გადაკვეთა არასწორი სტატუსით ედებათ, რაც პარაგვაის მოქალაქეებად თავის გასაღებას გულისხმობს.

– რონალდინიო და მისი ძმა პატიმრობაში არ იმყოფებიან. ამ ეტაპზე მათ მიმართ გამოძიება დაიწყო. ორივეს მოუწევს, ჩვენება მისცეს, რის შემდეგაც გადაწყდება, გადავიყვანთ თუ არა მათ საპატიმროში, – აცხადებს პარაგვაის შს მინისტრი ეუსლიდეს ასევედო.

მინისტრმა ასევე დაამატა, რომ ფეხბურთელი და მისი ძმა გამოძიებასთან თანამშრომლობენ და აცხადებენ, რომ ისინი იმ ადამიანმა მოატყუა, რომელიც მათთან ერთად დააკავეს.

საქმე ის არის, რომ რონალდინიო 2018 წელს გარემოს დაცვითი წესების დარღვევის (დაცულ ტერიტორიაზე უკანონო მშენებლობის დაწყება) გამო ბრაზილიაში გაასამართლეს და ქვეყნის პასპორტი ჩამოართვეს, რასაც 8.5 მილიონის ჯარიმაც დაემატა. იმის გამო, რომ ფეხბურთელს ჯარიმა ჯერაც არ გადაუხდია, მას არც თავისი ქვეყნის პასპორტი აქვს და ბრაზილიის საზღვრების დატოვებაც აკრძალული ჰქონდა.

პარაგვაის პოლიციის მიერ გამოქვეყნებულ ოფიციალურ განცხადებაში ასევე წერია, რომ ძმები პარაგვაიში ერთ-ერთი კაზინოს მფლობელმა ნელსონ ბელოტომ მიიწვია. მათ ამ მიწვევის ფარგლებში რამდენიმე სოციალურ ღონისძიებაში უნდა მიეღოთ მონაწილეობა.

ჯვოსვოხდი ბ



შვეულად: 1. „კლდის ვეფხვად“ წოდებული ქართველი ალპინისტი; 2. შემთხვევით ჩავარდნილი ბურთი ბილიარდში; 3. მაიმუნის ძველი ქართული სახელწოდება; 4. უღელტეხილი საქართველოში; 7. ევროპა-აზიის გამყოფი ქედი; 9. ლუთერანული ეკლესია; 14. სამხედრო-საზღვაო პოლიგონი საქართველოში; 15. უძველესი ქართული დამწერლობა; 17. საჯარო კამათი მეცნიერულ ან ლიტერატურულ საკითხებზე; 18. ნიშან-თვისებათა ერთობლიობა რამის შეფასების ან კლასიფიკაციისთვის; 20. ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება.

თარაზულად: 5. ტემპერატურის შკალის გამომგონებელი შვედი ასტროფიზიკოსი; 6. საშუალო დისტანციაზე მოასპარეზე მძლეოსანი; 8. ფირმა „ადიდასის“ დამფუძნებელი; 10. უბანი სოხუმში; 11. პანტომიმის ძველი ქართული სახელწოდება; 13. მძლავრი ინტენსიური გამოსხივების მქონე კოსმოსური სხეული; 16. ბატონის მიერ ეკლესიისთვის გადაცემული ყმა ფეოდალურ საქართველოში; 18. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საბერძნეთში; 19. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 21. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 22. თბილისთან დამეგობრებული ინგლისის ქალაქი; 23. ბუდიზმის დამფუძნებელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 2. ოჯალეში; 3. ანდამატი; 4. ავსტრალია; 5. ზევსი; 6. უშგული; 8. ბარელი; 11. დუბლინი; 14. ეფრემვერდი; 15. პოლონეზი; 16. ბარისტერი; 17. ხიზანი; 19. რენუარი; 21. გიუმი; 22. სქური.

თარაზულად: 1. მოწამეთა; 5. ზებუ; 7. რაბათი; 9. ვარდობისთვე; 10. გოდერძი; 12. ალუბალი; 13. კოლხეთი; 16. ბანკროტი; 17. ხადა; 18. კრიკი; 20. სამორინე; 22. სტეკი; 23. თურინჯი; 24. ეტიუდი; 25. მონდი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჰონოლულუ; 2. სალდო; 3. გუჯაბიძე; 4. ვიდალი; 7. ამური; 9. აზარი; 12. ადრენალინი; 14. სენსეი; 15. ძელშავი; 17. არქტიკა; 20. ნუჟრი.

თარაზულად: 5. მონბლანი; 6. სკუტერი; 8. ბოდრუმი; 10. კარაბინი; 11. ალმაზა; 13. ავენიდა; 16. დინდგელი; 18. კრინი; 19. ჯინსი; 21. ჟუდეცი; 22. ავლაბარი; 23. მირკანი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

6 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7735

ევრო — 3.0969

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5834

100 რუსული რუბლი — 4.2438

ამინდის პროგნოზი 6 მარტისთვის

3 მარტიდან

ვასილ ბარნოვი

ტრფობა ნამებული

საქართველოს ისტორია ქართულ ლიტერატურაში

ტომი I

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

იუმორი

კაცი ქალს:

– დავიღალეეე... შეიძლება, სახლში წავიდე?

– არც იფიქრო. ჩემი ქმარი მხოლოდ ერთ კვირაში დაბრუნდება!

●●●

ერთი პარლამენტარი მეორეს ეუბნება:

– ეჭვი არ შეგეპაროს, რომ 5-10 წლის შემდეგ ჩვენ გერმანელებზე უკეთ ვიცხოვრებთ!

– ვერ გავიგე, და რას უპირებთ გერმანიას?

●●●

კაცი ქალს ურეკავს:

– მალე მოვალ და რა წამოვიღო?

– კარგი განწყობა.

– ღვინო თუ არაყი?

●●●

მამაკაცი რესტორანში მაგიდასთან მოწყენილი, ხელებში თავჩარგული ზის, წინ კი სავსე ჭიქა უდგას. ამ დროს მეორე მამაკაცმა ჩაუარა გვერდით, აიღო მისი ჭიქა და ერთ მოყუდებაზე გამოცალა. კაცმა ახედა და ჩაილაპარაკა:

– ეს რა ცხოვრებაა... სამსახურიდან გამათავისუფლეს... ბინა გამიქურდეს... აგარაკი დამეწვა... ცოლი გამშორდა... საყვარელმა მიმატოვა... და ამ ყველაფრის მერე ვიღაც უტვინომ ჩემი შხამი დამილია...

●●●

მამაკაცი და ქალი მატარებლის კუპეში მგზავრობენ. კაცი ხმის ამოუღებლად ზის, ბოლოს მოთმინებიდან გამოსული ქალი ეუბნება:

– კიდევ დიდხანს იჯდებით ასე ხმის ამოუღებლად? მორცხვობამ უკვე დამღალა!

●●●

სახლში დაბრუნებულმა მამაკაცმა თავის კომპიუტერთან მჯდომი სიდედრი დაინახა და ჩაილაპარაკა:

– ჰოო! ასეთი ვირუსი ჩემს კომპიუტერს ჯერ არ ჰქონია!!

●●●

კაცი ქალს ეუბნება:

– შენი ხასიათი კი ვიცოდი, მარა, რაც ჭიაპზე პირსინგად რგოლი დაიმაგრე, მთლად ხელყუმბარას დაემსგავსე!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბარსელონის ფეხბურთელები კიკე სეტიენს არ ენდობიან

ესპანურ მედიაში საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა იმის შესახებ, რომ ბარსელონის ფეხბურთელები კიკე სეტიენს საკმარის პატივს არ სცემენ და მას არ ენდობიან.

რა თქმა უნდა, ეს ოფიციალურად არავის დაუდასტურებია, მაგრამ, წყაროს ცნობით, რეალთან წაგებას ფეხბურთელები სეტიენს აბრალებენ. განსაკუთრებით ეს არტურო ვიდალს ეხება, რომელიც სეტიენმა შეცვალა მატჩის დროს და ვიდალი ამის გამო ძალიან უკმაყოფილო დარჩა.

გარდა ამისა, ბარსელონის ფეხბურთელები ფიქრობენ, რომ სეტიენი მხოლოდ ზაფხულამდე იმუშავებს და გუნდს ზაფხულში ახალი მწვრთნელი ეყოლება.

ქუთაისის ტორპედოს ახალი მწვრთნელი ჰყავს

ქუთაისის ტორპედოს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს ვლადიმერ ხაჩიძის სახით, რომელიც ადრე ვიტ ჯორჯიას ხელმძღვანელობდა.

ტორპედოს მთავარი მწვრთნელის მოვალეობას მიხეილ აშვეთია ასრულებდა, რომელიც ამ თანამდებობაზე დროებით იყო და ის სამწვრთნელო შტაბში გადაინაცვლებს.

ტორპედოს ახალი იტალიელი მფლობელი ჰყავს და გუნდი ჩამოყალიბების პროცესშია. ჩემპიონატის პირველი შეხვედრა ქუთაისელებმა გორის დილასთან დათმეს 0:2.

ჰალანდის მამამ შვილს ლა ლიგაში გადასვლა ურჩია



ნორვეგიელი ვუნდერკინდის ერლინგ ჰალანდის მამამ განაცხადა, რომ ლა ლიგა მისი შვილისთვის ძალიან კარგი ჩემპიონატი იქნებოდა და ის თავის პოტენციალს კარგად გამოიყენებდა.

ჰალანდის მამა ფიქრობს, რომ მის შვილს შეუძლია, მსოფლიოში საუკეთესო ფორვარდი გახდეს:

– ძალიან ვამაყობ ჩემი შვილით, თუმცა ის ჯერ მხოლოდ იწყებს კარიერას. ვფიქრობ, რამდენიმე წელიწადში მას შეუძლია, საუკეთესო გახდეს. ესპანეთის ჩემპიონატში ბევრი ძლიერი გუნდი თამაშობს და ერლინგი იქ თავს კარგად იგრძნობდა.

მოამზადა ბექა გოგანაშვილმა

მერაბ ნინიძე ზიგმუნდ ფროიდისადმი მიძღვნილ სერიალში გადაიღეს

ქართველი მსახიობი მერაბ ნინიძე ნეტფლიქსმა კიდევ ერთ გახმაურებულ სერიალში მიიწვია.

„ფროიდი“ – ასე ეწოდება სერიალს და მისი რეჟისორი მარვინ კრენია. სერიალი ფსიქოანალიზის ფუძემდებლის ზიგმუნდ ფროიდის ცხოვრებას ეძღვნება. ახალგაზრდა ფროიდი 1980 წელს ვენაში მომხდარ მკვლელობას იძიებს.

მერაბ ნინიძე სერიალში ფროიდის მასწავლებლის როლს ასრულებს.

ავსტრიის, გერმანიისა და ჩეხეთის ერთობლივი ნამუშევრის პრემიერა ბერლინალეს საერთაშორისო კინოფესტივალზე უკვე შედგა.

ნატო გელაშვილს ვარსკვლავს გაუხსნიან

მომღერალსა და არაერთი ცნობილი სიმღერის ავტორს ნატო გელაშვილს საქართველოს კულტურის პალატა ვარსკვლავს გაუხსნის.

კულტურის პალატის პრეზიდენტი დათო ოქიტაშვილი ნატო გელაშვილს უკვე შეხვდა და, ერთობლივი გადაწყვეტილებით, ვარსკვლავი 20 სექტემბერს დიდი საკონცერტო დარბაზის წინ გაიხსნება. ამ დღეს ნატო გელაშვილის შემოქმედების 30 წლის იუბილე გაიმართება და საიუბილეო საღამოს რეჟისორი ლევან წულაძე იქნება.

ნატო გელაშვილი:

– მოგმართავთ ყველას დაანონსებულ ჩემი ვარსკვლავის გახსნასთან დაკავშირებით. მინდა, მთელი გულით კიდევ ერთხელ მადლობა გითხრათ ყველას, ჩემს ხალხს, უპირველესად ასეთი დაფასებისა და სიყვარულისათვის, რომ მანებივრეთ თქვენი სიყვარულით ამდენი წელი. როცა მეგონა, რომ ყველაფერი დავამთავრე, სწორედ მაშინ ადამიანების, მსმენელის სიყვარული გახდა ლაიტმოტივი ჩემი ცხოვრების ახალი ეტაპის საწყისისა.

მადლობა თქვენ ყველას. ჩემი ვარსკვლავის გახსნა ეს დამსახურებულად თქვენი დიდი ღიმის წილია და ჩემი თქვენდამი სიყვარულისა და მოფერების ავტოგრაფს მთელი არსებითა და მთელი გულით ამ დღეს ვუტოვებ ჩემს ქვეყანას, ჩემს ხალხს, ჩემს მსმენელს, იმ ადამიანებს, რომლებიც მანებივრებთ ამდენი წელი თქვენი სიყვარულით. მადლობა ყველას!

რქოსანმა ყვავმა შხამიანი გველი ცოცხლად გადასანსლა

სამხრეთ აფრიკის პროვინცია ლიმპოპოში ვიდეოზე გადაიღეს რქოსანი ყვავის ნადირობა ჩხრიალა გველგესლაზე. ამის ამსახველი კადრები ერთ-ერთმა საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა.

ვიდეორგოლში კაფრული რქოსანი ყვავების სახეობის წარმომადგენლები ნადავლის ძიებაში მაღალ ბალახში გადაადგილდებიან. ერთ-ერთმა მათგანმა ჩხრიალა გველგესლას დაჭერა მოახერხა, რომელიც აფრიკის ყველაზე სახიფათო შხამიან გველად ითვლება. ის აქტიურობით ღამით გამოირჩევა, დღისით კი ძირითადად ისვენებს. ფრინველს გველი, რომელიც იკლაკნება, ნისკარტით უჭირავს, შემდეგ კი მთლიანად გადასანსლავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

6 მარტისთვის

ვერძი – დაგროვილი საქმეების მოსაგვარებლად შესაფერისი დღეა. ინიციატივის გამოჩენა მოგიწევთ. **კურო** – საქმიან პარტნიორებთან, ნათესავებთან ურთიერთობა რთულდება. ემოციების გამოხატვისაგან თავი შეიკავეთ და თქვენი მოვალეობები მშვიდად შეასრულეთ. **ტყუპები** – წვრილმანი გაუგებრობები გაღიზიანებთ. გრძნობებს ნუ აჰყვებით. ყველაფერი თავისთავად დალაგდება. **კირჩხიბი** – დასკვნების გამოტანას ნუ იჩქარებთ. გადაწყვეტილება მხოლოდ მაშინ მიიღეთ, როცა სიტუაციაში ბოლომდე გაერკვევით. **ლომი** – შემოქმედებითი პოტენციალი იზრდება. ნებისმიერი საქმე იოლად და ძალდაუტანებლად გამოგდით. საინტერესო მოვლენებით დატვირთული დღეა. **ქალწული** – მიზნისკენ სწრაფვისას აჩქარება არ ივარგებს. ამან, შესაძლოა, ნერვული დაძაბულობა გამოიწვიოს. სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **სასწორი** – კეთილისმყოფელი, გაწონასწორებული დღეა. გელით ახალი რომანტიკული ურთიერთობა. **ღრიანკალი** – სავარაუდოდ, ფინანსური მდგომარეობა უარესდება. ფული ძალზე ეკონომიურად ხარჯეთ. ოჯახურ ფასეულობებს გაუფრთხილდით. **მშვილდოსანი** – საკმაოდ კარგი და მშვიდი დღეა. სამოგზაუროდ წასვლა, აქტიური დასვენება გაგახალისებთ. იყავით გულუხვი და დიდსულოვანი. **თხის რქა** – საკუთარი პოზიციების დაცვა სავალდებულოა. ემოციების აყოლა საქმეში ხელს შეგიშლით. **მერწყული** – შემოქმედებით საქმიანობაში დაბნეულობა და უყურადღებობა დაუშვებელია. სხვისი გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. **თევზები** – ახალგაცნობილ ადამიანთან ურთიერთობა, მოგზაურობა, გარემოს შეცვლა პოზიტიურად განგაწყობთ. გიმახვილდებათ ინტუიცია.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

„ჩემი ცოლის დაქალები“ ეთერში არ გავა

ფორმულა კრეატივის პოპულარული სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“ პარასკევს, შაბათსა და კვირას ეთერში არ გავა.

ინფორმაცია ამის შესახებ სერიალის ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა:

– სამწუხაროდ, უნდა გაცნობოთ, რომ არხზე მიმდინარე ტექნიკური რეორგანიზაციის გამო პარასკევს, შაბათსა და კვირას ეთერში არ გავა „ჩემი ცოლის დაქალები“.

დავბრუნდებით 13 მარტს, პარასკევს, 58-ე სერიითა და ბევრი სხვა სიახლით ფორმულაზე.

მოამზადა ეკა არქამაშყოლმა

ჯოხვოხდი ა

შვეულად: 2. ნახევარკუნძული ევროპაში; 3. სპორტის სათამაშო ოლიმპიური სახეობა; 4. რამე საქმეში, პროექტში კაპიტალის დამბანდებელი პირი; 5. საჯარისო შენაერთი; 6. ღომში ჩაზელილი სულგუნით მომზადებული მეგრული კერძი; 8. სისხლის თეთრი ბურთულაკების წარმომქმნელი შინაგანი ორგანო; 11. რამე ცნების, იდეის პირობითი ნიშანი; 14. კარსტულ მღვიმეში ძირიდან აღმართული კონუსისებრი სვეტი; 15. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 16. ვარდების ბაღი; 17. სახალხო თავყრილობა ძველ რომში; 19. ლირიკული სიმღერა; 21. კავკასიის ალპურ ზონაში ბინადარი გარეული თხა; 22. ბრინჯისგან მომზადებული აღმოსავლური კერძი.

თარაზულად: 1. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური გერმანიაში; 5. ბრაზილიური ყავა; 7. ტრაგედია „ჰამლეტის“ პერსონაჟი; 9. ქართველი ფიზიოლოგი, აკადემიკოსი; 10. მდინარე ამსტერდამში; 12. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 13. ლუთერანული ეკლესიის უფროსი მღვდელი; 16. ძვირფასი სამახსოვრო ნივთი; 17. ჩრდილო და ბალტიის ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი; 18. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 20. წელიწადის მეოთხედი; 22. იტალიური ავტომობილი; 23. ფრანგული ბულდოგი; 24. ნიადაგში ბოძების ჩასარჭობად პნევმატიკური მოწყობილობა; 25. დენის ძაბვის საზომი ერთეული.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა